პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ოთხშაბათი
12 ივნისი
1940 წ.
№ 134 (5835)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორდენოსან საქართველოს შემდგომი აყვავებისათვის

ორი წლის წინათ, 1938 წლის 12 ივნისს, ქართველმა ხალხმა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის, დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე უდიდესი ერთსულოვნებით აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. ამ შესანიშნავ ისტორიულ დღეს ორდენოსანი საქართველოს მშრომელმა ხალხმა ერთხელ კიდევ მოახდინა თავისი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი** ერთგულების მძლავრი დემონსტრაცია. კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევმა სტალინურმა ბლოკმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ქართველმა ხალხმა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში თავის დეპუტატებად წარგზავნა რჩეული ადამიანები, რომელთაც საქმით დაამტკიცეს თავისი უსაზღვრო ერთგულება და თავდადება კომუნიზმის საქმისათვის.

ჩვენი დეპუტატები ის ადამიანები არიან, რომელთა მთელი საქმიანობა სასიცოცხლო ძაფებითაა დაკავშირებული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს და მშრომელი ხალხის ინტერესებთან, ბოლშევიკების დიადი პარტიის საქმის ინტერესებთან. ამიტომაც ქართველი ხალხის რჩეულთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეობა მთლიანად მიმართულია მხოლოდდამხოლოდ ერთი მიზნისაკენ — ამრავლონ და განამტკიცონ ჩვენი ბედნიერი სოციალისტური სამშობლოს სიმდიდრე და ძლევამოსილება, კიდევ უფრო აამაღლონ მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონე, გააფართოონ ხალხთა სტალინური მეგობრობა და კომუნიზმის უკვდავი იდეების განხორციელებას სისხლხორცეულად დაუკავშირონ მთელი თავისი ნაყოფიერი მუშაობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღიდან ორმა წელმა განვლო. ამ მოკლე ხნის მანძილზე სოციალისტური მშენებლობის საქმეში საქართველოს მშრომელებმა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უდიდესი გამარჯვებები მოიპოვეს. ამ შესანიშნავ გამარჯვებათა შესახებ მკაფიოდ არის მოთხრობილი დეპუტატთა მოხსენებებსა და სიტყვებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III სესიაზე, რომელმაც მუშაობა ამ სამი დღის წინათ დაამთავრა.

საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს სს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახალხო კომისარიატების საერთო პროდუქცია 1938 და 1939 წლების განმავლობაში გადიდდა 118,2 მილიონი მანეთით, ე. ი. 1937 წელს გამოშვებულ პროდუქტებთან შედარებით 31,7 პროცენტით; რაც შეეხება სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობას, აქაც კოლოსალური მიღწევებია მოპოვებული. 1940 წლის 1-ლი იანვრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო საგლეხო მეურნეობათა 92,3 პროცენტი, ნაცვლად 1938 წლის გაზაფხულისათვის არსებული 77,9 პროცენტისა.

დიდად გაიზარდა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი. 1939 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 1938 წელთან შედარებით გაიზარდა 126.427 ათასი მანეთით, ანუ 11,6 პროცენტით, ხოლო გასავალი 103.030 ათასი მანეთით, ანუ 9,5 პროცენტით. კიდევ უფრო იზრდება 1940 წლის ბიუჯეტი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III სესიის მიერ დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი 1940 წლისათვის შემოსავლის ნაწილში 1.227.451 ათასი მანეთის რაოდენობით (წინა წელთან შედარებით ზრდა უდრის 5,9 პროცენტს), ხოლო გასავლის ნაწილში წინა წელთან შედარებით ზრდა შეადგენს 45.120 ათას მანეთს.

ეს საამაყო ციფრები წარმოადგენს იმ მიღწევათა ნათელ გამოხატულებას, რომლებიც მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით, ქართველი ხალხის საამაყო შვილის მტკიცე სტალინელის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III სესიის მიერ მიღებული ბიუჯეტით დიდი ამოცანები ისახება ჩვენს წინაშე, რომელთა დაუყოვნებლივ განხორციელებაა საჭირო. ამ საქმეში უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს. მათ ისე უნდა გაშალონ მუშაობა, რომ ბიუჯეტით დასახულ ამოცანათა განხორციელებაში ხალხთა ფართო მასები ჩააბან, გამოავლინონ ახალი შემოქმედებითი ტალანტები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მიერ აღზრდილნი და პრაქტიკულ მუშაობაში გამოწრთობილნი, დიდს შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მაგრამ, — ეს როდი კმარა.

ამჟამად ორდენოსანი საქართველოს წინაშე მეტად სერიოზული და დიდად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1940 წლის 25 აპრილს გამოიტანა დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ეს ისტორიული დადგენილება წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დიად პროგრამას, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლა ყოველი პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის, თვითეული დეპუტატის საპატიო მოვალეობას წარმოადგენს. დეპუტატებმა მეტი პრაქტიკული დახმარება უნდა აღმოუჩინონ ადგილობრივ ორგანიზაციებს ამ დიად სამუშაოთა შესრულების საქმეში. ეს დადგენილება გვავალებს ახალ-ახალი შრომითი საგმირო საქმეებით ვუპასუხოთ პარტიისა და მთავრობის უდიდეს მზრუნველობას საქართველოს სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის, სანიმუშო ორგანიზებულობით მოვაწყოთ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა, უდანაკარგოდ ავიღოთ 1940 წლის მოსავალი, რათა მივცეთ „უფრო მეტი მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო და ჩაი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს, რომელთა კეთილდღეობაზე დაუღალავად ზრუნავს ხალხთა მამა, ჩვენი მშობლიური სტალინი“ (კ. ჩარკვიანი).

ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები საქართველოს მთელ მშრომელ ხალხთან ერთად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმატებით გადასჭრიან ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის წინაშე მდგომ ამოცანებს და ხალხთა გენიალური ბელადის დიდი **სტალინის** წინამძღოლობით წავლენ წინ, კომუნიზმის მშენებლობის გზაზე ახალ-ახალ სასახელო გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ბელორუსული ხელოვნების დეკადა მოსკოვში

ბალეტ „ბულბულს“ დიდი წარმატება ჰქონდა

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები: ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ა. ა. ჟდანოვი, პ. კ. პონომარენკო

ბელორუსიის სსრ ოპერისა და ბალეტის დიდმა სახელმწიფო თეატრმა 10 ივნისს დიდი წარმატებით უჩვენა პირველი ბელორუსული ნაციონალური ბალეტი „ბულბული“.

სპექტაკლი დადგმულია დიდი გემოვნებით; ბალეტის ნიჭიერი კოლექტივი მას გატაცებით და ბუნებრივობით ასრულებს.

მაყურებლებმა სპექტაკლის ავტორსა და ყველა მონაწილეს მხურვალე ოვაცია გაუმართეს.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები: **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ა. ა. ჟდანოვი, პ. კ. პონომარენკო.**

მოსკოვს ჩამოვიდა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ურბშისი

10 ივნისს მოსკოვს ჩამოვიდა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ურბშისი. ცენტრალურ აეროპორტზე ბ-ნ **ურბშისს** შეხვდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. **ვ. გ. დეკანოზოვი,** სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტვაში ამხ. **ნ. გ. პოზდნიაკოვი,** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. **ვ. ნ. ბარკოვი,** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიისპირა ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. **ა. კ. ლისიაკი,** ქალ. მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი **ვ. ა. რევიაკინი** და ლიტვის მისიის შემადგენლობა დესპან ბ-ნ **ნატკევიჩიუსის** მეთაურობით. ცენტრალური აეროპორტი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ლიტვის ბაირაღებით.

დაიწყო გორი-ნატახტარის გზის გუდრონირება

გორი, 11 ივნისი (საქდესი). დაიწყო გორი—ნატახტარის გზატკეცილის გუდრონირება. ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ რაიონის კოლმეურნეები.

გზის ვაკისის მოწყობის მიწის სამუშაოების გეგმა გორის უბანზე კოლმეურნეებმა დაწესებულ ვადამდე 10 დღით ადრე შეასრულეს.

დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესები

მოსკოვი, 10 ივნისი (საკდესი). სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა დააწესა, რომ დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებსა და განყოფილებებში მიღება ხდება იმ ზღვრული ასაკის შეუზღუდავად, რომელიც გათვალისწინებულია უმაღლეს სასწავლებლებში მიღების საერთო წესებით. უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულნი დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებსა და განყოფილებებში მიიღებიან უგამოცდოდ. ტექნიკუმდამთავრებულნი დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელში ან დაუსწრებელ განყოფილებაში მიღების შესახებ განცხადების შეტანისას სპეციალობის მიხედვით მისაღებ გამოცდაზე დაიშვებიან დამოუკიდებლად იმისა, აქვთ თუ არა მათ ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟი.

დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში განცხადებები მიიღება 1 მაისიდან 1 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 31 აგვისტომდე. იმ ინსტიტუტებში, რომელთა სპეციალობა დაკავშირებულია მინდვრის სეზონურ სამუშაოსთან, მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 იანვრამდე.

დაიწყო გამოფენის კინოფილმების გადაღება

მოსკოვი, 10 ივნისი (საკდესი). მოსკოვის, ლენინგრადისა და ნოვოსიბირსკის კინოსტუდიები შეუდგნენ მუშაობას, რათა შექმნან 10 ფილმი 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის შესახებ. დამტკიცებულია ხუთი ფილმის სცენარი. მათ შორის სცენარები კინოსურათებისა მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების კომპლექსურ მექანიზაციაზე, ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ მემდელობებზე (გერასიმოვი და სხვები), მეკარტოფილეობის მოწინავეებზე, კერძოდ კოლმეურნე იუტკინაზე, რომელმაც კარტოფილის მოსავლის მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ალტაის მხარის ბელოგლაზოვის რაიონში გაემგზავრა გადამღებთა ჯგუფი, რომელიც შექმნის ფილმს სტალინური მოსავლის ოსტატებზე — ამხ. ეფრემოვსა და 100-ფუთოსნებზე. მზადდება კინოსურათი „საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმა“ გამოფენის მონაწილეთა — ჩვენი ქვეყნის მოწინავე ფერმების მასალების მიხედვით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა სცენარი სრულმეტრაჟიანი მხატვრულ-დოკუმენტალური კინოფილმისა „1940 წლის სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა“. ფილმების გადაღება უკვე დაწყებულია.

საქართველოს, უკრაინის, სარატოვისა და სხვა კინოსტუდიები პავილიონებში სურათებს იღებენ ადგილობრივი კინოჟურნალებისათვის.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ა. დ. პანოვი** შეიყვანა ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში. (საკდესი).

გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობაზე დაგებულია 16 კილომეტრი ლიანდაგი

სტალინირი, 11 ივნისი (საქდესი). გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობაზე ძირითადად დამთავრდა მიწის სამუშაოები ლიანდაგის დასაგებად. დამთავრდა აგრეთვე მცირე ზომის ხიდების აგება. დაჩქარებითი წესით მიმდინარეობს დიდი ხიდის მშენებლობა მტკვარზე.

გზის მშენებლობის პირველ უბანზე მთავრდება ლიანდაგის დაგება. უკვე დაგებულია 16 კილომეტრი ლიანდაგი. სტალინირში შენდება სადგური, კედლები უკვე ამოყვანილია.

გორიდან სტალინირისაკენ პირველი მატარებელი 18 ივლისს გავა.

საექსპლოატაციო ბურღვის ნახევარი წლის გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულდა

(წითელწყარო, ტელეგრაფით „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

საქართველოს ნავთის ტრესტის მირზაანისა და პატარა შირაქის სარეწაოებმა საექსპლოატაციო ბურღვის ნახევარი წლის გეგმა 10 ივნისისათვის 101 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მეორე კვარტალის დავალება 109,5 პროცენტით.

განსაკუთრებით ისახელეს თავი № 112 ჭაბურღილის მუშაკებმა. მათ საექსპლოატაციო ბურღვა ერთი თვით ადრე დაამთავრეს.

საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა აგრეთვე გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის № 117 ჭაბურღილის კოლექტივმა. უკანასკნელ ხუთდღიურში მათ 47 მეტრის ნაცვლად 175 მეტრი გაბურღეს. 10 ივნისს ჭაბურღილის მუშაკებმა დღიური დავალება 250 პროცენტით შეასრულეს.

წითელი არმიის უმაღლესი უფშემადგენლობისათვის სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება*)

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მთავრობის კომისიის წინადადებანი წითელი არმიის უმაღლესი უფშემადგენლობის პირთათვის იმ სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით.

XIII.

მიენიჭოს გენერალ-მაიორის სახელწოდება:

416. ივანე ევდოკიმეს-ძე **ტურუნოვს**
417. მათე ალექსის-ძე **უსენკოს**
418. ივანე კუზმას-ძე **უხოვს**
419. ივანე ივანეს-ძე **ფადეევს**
420. ანდრია ეგორის-ძე **ფედიუნინს**
421. ალექსანდრე ალექსის-ძე **ფილატოვს**
422. მიხეილ სერგის-ძე **ფილიპოვსკის**
423. ტარას ფილიპეს-ძე **ფილიპოვს**
424. ლაზარე ექვთიმეს-ძე **ფიშმანს**
425. პეტრე ივანეს-ძე **ფომენკოს**
426. სერგი სტეფანეს-ძე **ფომენკოს**
427. დიმიტრი სიმონის-ძე **ფროლოვს**
428. ივანე ნიკიტას-ძე **ხაზაროვს**
429. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **ხადეევს**
430. გრიგოლ ალექსის-ძე **ხალიუზინს**
431. თევდორე მიხეილის-ძე **ხარიტონოვს,**
432. სერგი დიმიტრის-ძე **ხარლამოვს**
433. მიხეილ გიორგის-ძე **ხაცკილევიჩს,**
434. ვასილ ათანასეს-ძე **ხომენკოს**
435. ნიკიფორე გორდეის-ძე **ხორუჟენკოს**
436. იოსებ ივანეს-ძე **ხორუნს**
437. ანდრია ალექსის-ძე **ხრიალივს**
438. ალექსანდრე სიმონის - ძე **ცვეტკოვს**
439. ვლადიმერ ლეიბას-ძე **ცეტლინს**
440. პეტრე გაბრიელის-ძე **ციროულნიკოვს**
441. ვიქტორ ვიქტორის-ძე **ციგანოვს**
442. ლეონტი გიორგის-ძე **ჩერემისოვს**
443. ალექსანდრე ივანეს-ძე **ჩერეპანოვს**
444. ალექსანდრე ნიკიფორეს-ძე **ჩერნიკოვს**
445. ვიქტორ ნიკოლოზის - ძე **ჩერნიშევს**
446. პლატონ ვასილის-ძე **ჩერნიაევს**
447. სერგი მიხეილის-ძე **ჩესტოხვალოვს**
448. ნიკოლოზ ივანეს-ძე **ჩეტვერიკოვს**
449. ვლადიმერ ივანეს-ძე **ჩისტიაკოვს**
450. ნიკიტა ემელიანის-ძე **ჩუვაკოვს**
451. ვიქტორ ალექსის-ძე **ჩუმაკოვს**
452. ნიკოლოზ ანდრიას-ძე **შაბანოვს**
453. იაკობ სერგის-ძე **შარაბურკოს**
454. ვლადიმერ მაქსიმეს-ძე **შარაპოვს**
455. მიხეილ ნიკოლოზის-ძე **შაროხინს**
456. თევდორე პლატონის-ძე **შაფალოვიჩს**
457. ნიკოლოზ ნიკოლოზის - ძე **შვარის**
458. ვასილ ივანეს-ძე **შვეცოვს**
459. ილია ივანეს-ძე **შვიგინს**
460. პეტრე სიმონის-ძე **შევჩენკოს**
461. ივანე პავლეს-ძე **შევჩუკს**
462. გიორგი აკიმის-ძე **შელახოვს**
463. ათანასე დიმიტრის-ძე **შემენკოვს**
464. გაბრიელ ეგნატეს-ძე **შერსტიუკს**
465. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **შესტოპალოვს**
466. ალექსი ივანეს-ძე **შიმონაევს**
467. ალექსანდრე ჰენრიხის - ძე **შირმახერს**
468. სერგი ივანეს-ძე **შირიაევს**
469. გაბრიელ დანიელის-ძე **შიშენინს**
470. ივანე ტიმოთეს-ძე **შლემინს**
471. მაქსიმე სერგის-ძე **შმიროვს**
472. გიორგი მიხეილის-ძე **შპიკალოვს**
473. მიხეილ სტეფანეს-ძე **შუმილოვს**
474. ვლადიმერ ივანეს-ძე **შჩერბაკოვს**
475. კონსტანტინე მაქსიმეს - ძე **ერასტოვს**
476. ალექსანდრე იაკობის-ძე **იანოვსკის**
477. პავლე სერგის-ძე **იარმოშკევიჩს**
478. პეტრე გრიგოლის-ძე **იარჩევსკის**
479. ნიკოლოზ ივანეს-ძე **იაცენკოს**

XIV.

მიენიჭოს არტილერიის გენერალ-მაიორის სახელწოდება:

1. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **ადამოვიჩს**
2. ვალენტინ პავლეს-ძე **არეფიევს**
3. ალექსი პავლეს-ძე **ბაიკოვს**
4. მიხეილ მიხეილის-ძე **ბარსუკოვს**
5. პავლე მირონის-ძე **ბელოვს**
6. ნიკოლოზ იოსების-ძე **ბეტიხერს**
7. ანატოლი არკადის-ძე **ბლაგონრავოვს**
8. ვასილ სიმონის-ძე **ბოდროვს**
9. იაკობ ისაკის-ძე **ბროუდს**
10. ვასილ ოსიპის-ძე **ბუშუევს**
11. მიხეილ თევდორეს-ძე **ვასილიევს**
12. ვანიფატი ვლადიმერის - ძე **ვლადიმიროვს**
13. ტროფიმე ლეონტის-ძე **ვლასოვს**
14. ლეონიდე ვასილის-ძე **ვნუკოვს**
15. ივანე ივანეს-ძე **ვოლკოტრუბენკოს**
16. პეტრე პეტრეს-ძე **ვორობიოვს**
17. ნიკოლოზ ვასილის-ძე **გავრილენკოს**
18. პეტრე ავგუსტის-ძე **გელვიხს**
19. ლეონიდე ალექსანდრეს - ძე **გოვოროვს**
20. ელისე ალექსანდრეს-ძე **გოლოსოვს**
21. ვასილ საფრონის-ძე **გონჩაროვს**
22. ალექსი თევდორეს-ძე **გოროხოვს**
23. ივანე პეტრეს-ძე **გუბერნიევს**
24. პეტრე ემელიანეს-ძე **გუდიმენკოს**
25. ალექსი პავლეს-ძე **გუნდორინს**
26. ნიკოლოზ ანდრიას-ძე **დერეშს**
27. რომან ანტონის-ძე **ძიტინს**
28. მიხეილ პეტრეს-ძე **დმიტრიევს**
29. ნიკოლოზ ვასილის-ძე **დოროფეევს**
30. ვლადიმერ გრიგოლის-ძე **დიაკონოვს**
31. დანიელ არსენტის-ძე **ჟურავლიოვს**
32. ნიკოლოზ სიმონის-ძე **ივანოვს**
33. ალექსანდრე ფილიმონის-ძე **კაზაკოვს**
34. ვასილ ივანეს-ძე **კაზაკოვს**
35. ნიკოლოზ ალექსანდრეს - ძე **კალინოვსკის**
36. ივანე პავლეს-ძე **კამერას**
37. გიორგი სპირიდონის-ძე **კარიოფილის**
38. ალექსანდრე პეტრეს-ძე **კეშეტს**
39. ანტონ იოსების-ძე **კოზეროვსკის**
40. გიორგი პოტაპის-ძე **კოზლოვს**
41. დავით ესტატეს-ძე **კოზლოვსკის**
42. თევდორე გრიგოლის-ძე **კორზინს**
43. ვასილ გიორგის-ძე **კორნილოვ - დრუგოვს**
44. სიმონ ალექსანდრეს-ძე **კრასნოპევცევს.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

*) (გაგრძელება. დასაწყისი იხ. 6, 8, 9, 10 და 11 ივნისის „კომუნისტის“ ნომრებში).

უკანასკნელი ცნობები

რეინოს გამოსვლა

ლონდონი, 10 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს საღამოს რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის მთავრობის პრემიერ - მინისტრმა რეინომ. მან განაცხადა: „ჩვენ კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ბრძოლის მეექვსე დღეს განვიცდით. გერმანიის შეტევა დაიწყო სომაზე და ახლა გავრცელდა აღმოსავლეთში თვით მდინარე მაასამდე. ჩვენი არმიები მანევრებს ახდენენ და მათ მტრისათვის არცერთი ძლიერი პოზიცია არ დაუთმიათ ისე, რომ მისთვის უდიდესი ზარალი არ მიეყენებინოთ“. ომში იტალიის ჩაბმასთან დაკავშირებით რეინომ სთქვა, რომ „როდესაც დღეს ნაშუადღევის 16 საათსა და 30 წუთზე ჩვენი რომაელი ელჩი შეეკითხა ჩიანოს, თუ რა მიზეზით გამოუცხადა იტალიამ ომი მოკავშირეებს, ჩიანომ უპასუხა: „მუსოლინი მხოლოდ ასრულებს იმ გეგმებს, რომლებიც მან გერმანიასთან ერთად შეიმუშავა. საომარი მოქმედება იტალიაში დღეს შუაღამეზე დაიწყება“.

ინგლისის ეკონომიური ომის მინისტრის განცხადება

ლონდონი, 11 ივნისი (საკდესი). ინგლისის ეკონომიური ომის მინისტრმა დალტონმა, შეეხო რა ომში იტალიის ჩაბმას, შემდეგი განაცხადა: „ეკონომიურ დარგში იტალია ყველაზე უფრო სუსტია. მომარაგების საგარეო წყაროების მხრივ მას ესაჭიროება თითქმის ყველაფერი, რაც აუცილებელია ომის საწარმოებლად — ნავთი, საომარი მასალა, საფეიქრო ნაწარმი, კაუჩუკი, რკინის მადანი, ქვანახშირი. როდესაც იტალიაზე ეკონომიური ბლოკადა გავრცელდება, იგი ამას დიდხანს ვერ გაუძლებს. მისი მარაგი გამოიფიტება და ეკონომიურად იგი გერმანიას დიდ ტვირთად დააწვება“.

საფრანგეთის დედაქალაქის ევაკუაცია

ნიუ-იორკი, 11 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტურიდან (საფრანგეთი) იტყობინება, საფრანგეთის მთავრობა საფრანგეთის სხვადასხვა ნაწილებში გადავიდა. ბევრმა ოფიციალურმა პირმა და კერძო პირებმა დასტოვეს პარიზი.

ნიუ-იორკი, 11 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, დიპლომატიური წრეების ცნობების თანახმად, მთავრობის მთელი რიგი დაწესებულებანი პარიზიდან გადაიტანეს ტანჟერში, რომელიც დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთით 240 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს.

მდგომარეობა პარიზში

ლონდონი, 11 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს დილიდან პარიზი მთლიანად კვამლში იყო გახვეული. ეს კვამლი დედაქალაქის ირგვლივ გადაყრილი ცეცხლწამკიდი ყუმბარებისაგან გაჩენილმა ხანძარმა გამოიწვია. ყველგან მოსჩანან უამრავი ლტოლვილები. პარიზში დღეს გაზეთები უკანასკნელად გამოვიდა. მათ გამოაქვეყნეს ცნობები იტალიის მიერ საფრანგეთისა და ინგლისისათვის ომის გამოცხადების შესახებ. ღამის ორ საათზე რედაქციებმა შესწყვიტეს მუშაობა; ღამის 2 საათის შემდეგ მხოლოდ ცალკე საინფორმაციო ფურცლებს უშვებდნენ.

ლონდონი, 11 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ინგლისის საელჩო პარიზიდან გაემგზავრა. პარიზში ბირჟა დროებით დაიხურა, მაგრამ მალე გაიხსნება პროვინციაში. პარიზის ბანკები მუშაობას განაგრძობენ. ამერიკის საელჩო ჯერ კიდევ პარიზში იმყოფება.

კანადამ იტალიას ომი გამოუცხადა

ნიუ-იორკი, 10 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, კანადის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა მთავრობის გადაწყვეტილება იტალიისათვის ომის გამოცხადების შესახებ.

რეიტერის სააგენტო იტალიის შეიარაღებულ ძალთა რაოდენობის შესახებ

ლონდონი, 11 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ არსებული ცნობების თანახმად, იტალიას ამჟამად ჰყავს არმია, რომელიც ერთნახევარი მილიონი კაცისაგან შესდგება. იტალიის სამხედრო - საჰაერო ძალები პირველი ხაზის 1.400 თვითმფრინავისაგან შესდგება.

გერმანიის ცნობა საომარი მოქმედების შესახებ

ბერლინი, 11 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გუშინ ფრონტიდან შემდეგი ცნობა გადმოგვცა: „დასავლეთში გერმანიის მეორე შეტევის დაწყებიდან ხუთი დღის შემდეგ შეიძლება გარკვეულად ჩაითვალოს, რომ გერმანიის ჯარმა გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია. „ვეიგანის ხაზი“ გადალახა გერმანიის ჯარმა, რომელმაც საწყისი პოზიციებიდან 90 კილომეტრზე მეტით წაიწია მტრის ტერიტორიის სიღრმეში. გერმანიის ჯარმა ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი და მტრის სურსათის მარაგი. დიდმა ჯავშანსატანკო შენაერთებმა, აგრეთვე მოტორიზებულმა ნაწილებმა წაიწიეს მდინარე სენის ქვედა დინებისაკენ, პარიზის ჩრდილო-დასავლეთით, აგრეთვე გადასჭრეს პარიზსა და ჰავრს შორის მდებარე გზა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის მომარაგებისათვის. შემდეგ გერმანიის ჯარი ამიენიდან სამხრეთისაკენ უტევდა. სუასონის ორივე მხარეზე გერმანიის ჯარმა ფართო ფრონტით გადალახა მდინარე ენი. აქ გერმანიის დამკვრელი ჯარის ნაწილები მარნის ქვედა დინებას უახლოვდებიან. საფრანგეთის არმიის საერთო მდგომარეობა მძიმეა. საფრანგეთის მარჯვენა ფლანგი გერმანიის ახალი შეტევის გამო იძულებული გახდა უკან დაეხია იმ დროს, როდესაც მარცხენა აღმოსავლეთის ფლანგი იმყოფება მაჟინოს ხაზზე რეინის სათავეებში“.

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 11 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო აქვეყნებს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის შემდეგს ცნობას:

„ლა-მანშის სანაპიროსა და მდინარე მაასს შორის დაწყებული დიდი ბრძოლა გაცხოველებით სწარმოებს. ფრონტის მარჯვენა ფლანგზე და შუა ნაწილში გერმანიის ჯარი განაგრძობს საფრანგეთის დამარცხებული არმიების დევნას. რეინსა და არგონებს შორის გაფთრებული ბრძოლა გრძელდება. ბევრ პუნქტში გაფანტული და გარშემორტყმულია მტრის ძლიერი შენაერთები, რომელთაც აუცილებელი მოსპობა მოელის. მძიმე დანაკლისის შედეგად, რაც მტერმა როგორც ტყვეების, ისე მატერიალური ნაწილის სახით განიცადა, მისი წინააღმდეგობა სუსტდება. გერმანიის ავიაციის შენაერთებმა და მოპიკირე ყუმბარმშენებმა კვლავ მიიტანეს იერიში ჰავრის ნავსადგურებსა და სანავსადგურო ნაგებობაზე, დაანგრიეს რაბები, ჩასძირეს ერთი საესკადრო ნაღმოსანი და დააზიანეს რამდენიმე გემი. მათ შორის ერთი საესკადრო ნაღმოსანი და ორი ტრანსპორტი (თვითეული 10 ათასი ტონა წყალწყვისა). უკანდახეული მტრის სალაშქრო კოლონების, ტრანსპორტების, თავმოყრილი ჯარის, ბატარეების პოზიციების გარდა, გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა აგრეთვე მარნისა და ქვედა უაზის რამდენიმე ხიდს. ამ ხიდების ნაწილი დანგრეულია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მტრის ჯარის უკან დახევას.

ჩრდილოეთის ზღვაში 9 ივნისს გერმანიის ავიაციამ ძლიერ დაუშინა ყუმბარები მტრის ერთ კრეისერს და 4 სატრანსპორტო გემს, რომელთა ნაწილს ცეცხლი გაუჩნდა.

მტრის თვითმფრინავები ღამით კვლავ თავს დაესხნენ გერმანიის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილებს. ბომბარდირებას მნიშვნელოვანი ზარალი არ მიუყენებია. გუშინდელი დღის განმავლობაში მტერმა დაჰკარგა 29 თვითმფრინავი, აქედან 19 თვითმფრინავი ჩამოგდებულია საჰაერო ბრძოლის დროს, 6 თვითმფრინავი საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო, დანარჩენი კი მოსპობილია მიწაზე. ამას გარდა, ჩამოგდებულია საჰაერო გადამღობის 3 ბალონი. გერმანიის 8 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა“.

რა მიმართულებით ჰფიქრობს იტალია პირველი იერიშების მიტანას

ნიუ-იორკი, 11 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო რომიდან იუწყება, სამხედრო წრეებში აღნიშნავენ, რომ იტალია უწინარეს ყოვლისა თავს დაესხმის ინგლისისა და საფრანგეთის ფორპოსტებს ხმელთაშუა ზღვაში იმის ნაცვლად, რომ საფრანგეთის წინააღმდეგ გამოვიდეს. სააგენტოს აზრით, შესაძლებელია იტალიამ საომარი მოქმედება დაიწყოს ტუნისის, კორსიკისა და მალტის წინააღმდეგ.

პარიზი თავდაცვისათვის ემზადება

პარიზი, 11 ივნისი (საკდესი). ამჟამად ფრონტზე ძალთა თანაფარდობა ასეთია: თვითეულ ფრანგ ჯარისკაცზე მოდის სამი გერმანელი ჯარისკაცი და საფრანგეთის თვითეულ ტანკზე — გერმანიის 4 ტანკი. უახლოეს დღეებში უნდა მოველოდეთ, რომ საფრანგეთის სარდლობა ან გამოიყენებს თავდაცვის დამატებითს რეზერვებს და შეეცდება შეაჩეროს გერმანიის შემოტევა, ანდა განაგრძობს პარიზისაკენ დახევას.

საფრანგეთის სამხედრო წრეები ფიქრობენ, რომ გერმანიის უმაღლესი სარდლობა ერთსადაიმავე დროს ორ მიზანს ისახავს—პარიზის გარემოცვას და იმ არმიების გარემოცვას, რომლებიც მაჟინოს ხაზს იცავენ.

პარიზში ემზადებიან ქალაქის დასაცავად. ქუჩებში აკეთებენ ბარიკადებს, ანთავისუფლებენ პარიზიდან მიმავალ გზებს. ამ გზებს იცავენ. ყველგან სდგამენ ტყვიამფრქვევთა საგუშაგოებს, რომლებიც სილიანი ტომრებით არის გამაგრებული. პარიზის ყველა ქუჩასა და ბულვარში აშენებენ თავდაცვით ნაგებობებს. პარიზის მცხოვრებნი ქალაქს სტოვებენ.

რეიტერის სააგენტო რივიერის მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 11 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ცნობებს, რომ იტალიის ჯარმა ვითომდა დაიკავა საფრანგეთის რივიერა, დღეს პარიზში „აბსოლუტურად ყალბ ცნობად“ სთვლიან. აცხადებენ, რომ რივიერაში „სრული სიმშვიდეა“.

ნიუ-იორკი, 11 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო რომიდან იუწყება, მოელიან, რომ გათენებისას იტალიელები თავს დაესხმიან გიბრალტარს, მალტასა და საფრანგეთის რივიერას.

იტალიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ლონდონი, 11 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, იტალიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი იქნება მუსოლინი. სახმელეთო არმიის სარდლობა დავალებული აქვს მარშალ ბადოლიოს.

იტალიის თვითმფრინავების მიერ კუნძულ მალტის ბომბარდირება

ნიუ-იორკი, 11 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბელგრადელი კორესპონდენტი გადმოგვცემს გაზეთ „ბრემეს“ ცნობას, რომ იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს კუნძულ მალტას. ამჟამად ხმელთაშუა ზღვაში იტალიის გემებსა და ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტების გემებს შორის ბრძოლა სწარმოებს.

მობილიზაცია თურქეთში

ნიუ-იორკი, 11 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო სტამბოლიდან იტყობინება, თურქეთში დაიწყო სამხედრო სპეციალისტთა ზოგიერთი კატეგორიის მობილიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-3 სესია

კამათი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ გ. ს. დარაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტის პროექტი სავსებით შეესაბამება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ დასმულ ამოცანებს და იმ მითითებებს, რომლებიც მოგვცა მშრომელთა დიდმა ბელადმა, მშობლიურმა **სტალინმა**.

საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის დეპუტატ კ. ციმაკურიძის მოხსენებაში ნათლად იყო ნაჩვენები ის დიდი აღმავლობა, რომელსაც განიცდის ჩვენი სახალხო მეურნეობის ყოველი დარგი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით და ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. **ბერიას** დახმარებით.

საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტის პროექტს, ეჭვი არაა, დაამტკიცებს უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. ეს ბიუჯეტი კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას, უზრუნველჰყოფს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების ზრდას და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

1940 წლის ბიუჯეტის პროექტი გურჯაანის რაიონისათვის ითვალისწინებს 8.173 ათას მანეთს. გასულ წელთან შედარებით იგი გაზრდილია 19,3 პროცენტით. ბიუჯეტის 66 პროცენტი ხმარდება განათლების საქმეს. ეს ფაქტი დიდად საყურადღებოა. იგი მოწმობს, თუ რაოდენი მზრუნველობით ეკიდებიან პარტია და მთავრობა მშრომელი მასების სწავლა-განათლებისა და კულტურის საქმეს.

გურჯაანის რაიონში თვალსაჩინოდ გაიზარდა სკოლების ქსელი, რომლებშიაც სწავლობს 15.780 მოსწავლე და ასწავლის 660 პედაგოგი. გასულ წელს რაიონში აშენდა საშუალო სკოლის 2 ახალი შენობა. მიმდინარე წელს მთავრდება სოფ. კარდანახის საშუალო სკოლის შენობის აგება. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ რაიონი განიცდის სასკოლო და კულტურულ დაწესებულებათა შენობების სიმცირეს. სოფ. მელაანს, მახარაძეს, შიბლიანს, დუზაგრამს და სხვ. სკოლები დაქირავებულ ბინებში აქვს მოთავსებული. რაიონულ ცენტრს—გურჯაანს არა აქვს თეატრი. აქ ხანძრისაგან დაზიანებულია კინო-თეატრი.

გასული წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების მიზანშეწონილმა გამოყენებამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოუპოვა რაიონს ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ჩვენ გვაქვს 14 საექიმო პუნქტი, 1 საუბნო ამბულატორია, 9 საბებიო, 8 საფერშლო და 5 სამალარიო პუნქტი. რაიონს აქვს ისეთი საკავშირო მნიშვნელობის კურორტი, როგორიც ახტალაა, რომლის კეთილმოსაწყობად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მაგრამ ჯანსახკომი და კურორტთა სამმართველო მას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

მიმდინარე წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გათვალისწინებულია მთელი რიგი სამუშაოების ჩატარება ალაზანჰესის ასათვისებლად. ალაზანჰესი უზრუნველჰყოფს სამი მნიშვნელოვანი რაიონის—სიღნაღის, გურჯაანისა და თელავის განათებას და მთელი რიგი საწარმოებისათვის ენერგიის მიწოდებას.

ამხანაგო დეპუტატებო, მე მხარს ვუჭერ სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილ 1940 წლის ბიუჯეტის პროექტს. ამასთან მინდა შევაჩერო სესიის ყურადღება ზოგიერთ საკითხზე.

გურჯაანის რაიონის ბიუჯეტის გასავალში გათვალისწინებული არ არის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1939 წლის 27 მაისის დადგენილების საფუძველზე ჩატარებული მიწების აზომვის ხარჯები, დაზუსტებული არ არის სასოფლო საბჭოების ზოგიერთი ხარჯები. შემოსავლის ნაწილშიც ადგილი აქვს ზოგიერთ შეუსაბამობას ბაზის მდგომარეობასა და დაგეგმილ თანხებს შორის. ეს კორექტივები პროექტში უნდა შეტანილ იქნას.

ზოგიერთი კომისარიატები და სამმართველოები დროულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას ვერ უწევენ რაიონულ ორგანიზაციებს. იმის შედეგად, რომ საქ. სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი მოძველებული ინსტრუქციებით ხელმძღვანელობდა და არასწორ მითითებებს აძლევდა რაისაბჭოს აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილებას, უკანასკნელმა 100.000 მანეთამდე თანხა უკანონოდ გასცა. ამ საქმეში ბრალი მიუძღვის ფინსახკომსაც, რადგან მისი კონტროლი უკანასკნელ დრომდე ადგილზე მოგვარებული არ იყო. დახმარებისა და ხელმძღვანელობის ნაცვლად, რაიონისადმი უსულგულო-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენს ჯანსახკომის სააფთიაქო სამმართველოს ხელმძღვანელობაც. საჭიროა ხსენებულმა კომისარიატებმა და სამმართველომ უფრო ოპერატიულად უხელმძღვანელონ თავის განყოფილებებს რაიონში.

ამხანაგო დეპუტატებო, მესამე სესიის მიერ მიღებული ბიუჯეტი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს უშუალო ხელმძღვანელობით განუხრელად იქნება შესრულებული. ეს კი უზრუნველჰყოფს იმ უდიდესი ამოცანების გადაწყვეტას, რომელიც დაგვისახეს ჩვენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ და დიდმა **სტალინმა**.

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა კლასის ბელადს, კომუნიზმის მესაძეს, ჩვენს მშობლიურ მამასა და მასწავლებელს დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ შ. გ. მაისურაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სესიაზე წარმოდგენილი 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად უპასუხებს იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დგას მესამე ხუთწლედის მესამე წელს.

რესპუბლიკურ ბიუჯეტში მაიაკოვსკის რაიონსაც ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. 1940 წლისათვის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტი წარმოდგენილია 4.117 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც გასული წლის ბიუჯეტს 485 ათასი მანეთით აღემატება.

მაიაკოვსკის რაიონში გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა სასკოლო ქსელი. ამჟამად რაიონში მუშაობს 19 დაწყებითი სკოლა, 11 არასრული საშუალო სკოლა, 6 საშუალო სკოლა, მოზრდილთა 2 საშუალო სკოლა და მოზარდთა 7 დაწყებითი სკოლა.

რაიონის ბიუჯეტიდან 1940 წელს განათლების დარგში უნდა დაიხარჯოს 2.656.000 მანეთი, ნაცვლად გასული წლის 2.219.000 მანეთისა.

სერიოზული ყურადღება ექცევა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. 1939 წელს ბიუჯეტით რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე დაიხარჯა 641.300 მანეთი. 1940 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 733.600 მანეთი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კურორტ საირმესა და კურორტ ზეკარის კეთილმოწყობას. მიმდინარე წელს კურორტ საირმეს კეთილმოსაწყობად უნდა დაიხარჯოს 300 ათასი მანეთი, ზეკარის კეთილმოწყობისათვის კი—40 ათასი მანეთი.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილების განხორციელების შედეგად კიდევ უფრო გაიზარდნენ და გამტკიცდნენ მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობები. ამჟამად რაიონის გლეხური მეურნეობის 97 პროცენტი კოლმეურნეობებშია გაერთიანებული.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ **ლ. ბერიას** უშუალო დახმარებით რაიონში ფართოდ განვითარდა მეურნეობის ძირითადი დარგები: მევენახეობა, მემინდვრეობა და აგრეთვე სოციალისტური მეცხოველეობა. ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი.

რაიონში თვალსაჩინოდ გაიზარდა სოფლის მეურნეობის დაფინანსება. 1940 წელს სოფლის მეურნეობაზე უნდა დაიხარჯოს 211 ათასი მანეთი, ნაცვლად გასული წლის 160 ათასი მანეთისა. 1940 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია აგრეთვე სათესლე მასალის საკონტროლო ლაბორატორიის მოწყობა.

ამხანაგო დეპუტატებო! მხარს ვუჭერ წინადადებას იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ დაამტკიცოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს ამხ. **ლ. პ. ბერიას (ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ხალხთა საყვარელ ბელადს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ **სტალინს! (ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ ვ. ა. ჯიბლაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ნათლად ასახავს იმ დიდ გამარჯვებებს, რომლებიც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა და საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** მითითებათა განუხრელად გატარების შედეგად.

საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა, რომლებიც აღზრდილი არიან ქართველი ხალხის საუკეთესო შვილის, დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლის ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** მიერ, მიაღწიეს დიდ წარმატებებს სახალხო მეურნეობის აყვავების საქმეში და საქართველო დიდი საბჭოთა კავშირის მარგალიტად გადააქციეს.

ხალხის კეთილდღეობის ზრდის დამადასტურებელია საქონელბრუნვა, რომელიც წლითიწლობით იზრდება როგორც ქალაქად, ისე სოფლად. თუ 1933 წელში საქართველოში საქონელბრუნვა სოფლად შეადგენდა 219.939,0 ათას მან., 1940 წლისათვის საქონელბრუნვა სოფლად დამტკიცებულია 1 მილიარდ 80 მილიონი მანეთის რაოდენობით.

1933 წელში სოფლად გაყიდულ იქნა 4.920 ათასი მანეთის სხვადასხვა კულტსაქონელი და ავეჯეული, 1939 წელში — 40.287,0 ათასი მანეთისა, ხოლო 1940 წელში გაყიდული იქნება 80 მილიონი მანეთის კულტსაქონელი და ავეჯეული.

ეს ციფრები გვიჩვენებენ, თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი კოლმეურნეების კეთილდღეობა და კულტურული დონე.

ამხანაგებო! საქონელბრუნვა დიდ როლს თამაშობს რესპუბლიკის საფინანსო მეურნეობის განმტკიცებისა და სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლის გეგმის შესრულების საქმეში.

მარტო საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით 1939 წელს სახბიუჯეტში ბრუნვის გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი შეტანილი იყო 28.126,0 ათასი მან. რაოდენობით, ხოლო 1940 წლისათვის რესპუბლიკის სახბიუჯეტში შეგვაქვს 37.285 ათასი მანეთი. როგორც ზევით ვთქვი, 1940 წელში საქონელბრუნვა გათვალისწინებულია 1 მილიარდი 80 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს გეგმა რომ წარმატებით შევასრულოთ და უზრუნველვყოთ სახბიუჯეტის შევსება გათვალისწინებული საშუალებებით, აუცილებელია გვქონდეს საქონლის დიდი რაოდენობა.

ამ საქმეში ჩვენს ერთერთ ძირითად ნაკლს წარმოადგენს საქონელბრუნვაში ადგილობრივი წარმოების საქონლის არასაკმაოდ ჩაბმა და გამოყენება.

საქონელბრუნვის შემდგომი ზრდა მოითხოვს ადგილობრივი სასაქონლო რესურსების მობილიზაციას, წარმოების გაშლას ადგილზე არსებული ნედლეულის გამოყენებით და საქონლის ახალი და ახალი მასების შექმნას.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ მაგრად მოჰკიდა ხელი საქართველოს სამრეწველო სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლის მასობრივად დამზადებისა და მისი გამოშვების გაფართოების საქმეს. სახკომსაბჭოს მიერ მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მარტო სამომხმარებლო კოოპერაცია წელს სახელმწიფო გეგმის ზევით იღებს 22 მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საქონელს. ამ თანხაში არ შედის ის 18 მილიონი მანეთის საქონელი, რომელზეც ხელშეკრულებები გვაქვს დადებული ცალკეული რაიაღმასკომების ადგილობრივ მრეწველობასთან. ახლა ჩვენ არა მარტო ვითვისებთ ადგილობრივ რესურსებს, არამედ თვითონ მოვკიდეთ ხელი წვრილ წარმოებას და, მე ვფიქრობ, არც ცუდად ვართმევთ მას თავს. მაგალითად, ცეკავშირმა უკვე მოაწყო 2 სახელოსნო ლუდისაგან ფართო მოხმარების საქონლის დასამზადებლად, მოაწყო აგურკრამიტის, თიხის ჭურჭლის, კალათების, გობების, ყავრის და ხის სხვა ნაწარმისა და ავეჯეულის წარმოება. მარტო საკუთარი წარმოებიდან მიმდინარე წლის ბოლომდი ცეკავშირი მიიღებს 8 მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელს.

ამხანაგებო! აუცილებელია, რომ ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა მაგრად მოჰკიდონ ხელი ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, რითაც ისინი ხელს შეუწყობენ საქონელბრუნვის გეგმის წარმატებით შესრულებას და ამით კი, რაც მთავარია, თავისი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებასაც.

ჩვენი მუშაობის მეორე ნაკლს საქონელბრუნვის საქმეში წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ყველგან ვერ მივაღწიეთ ნამდვილი საბჭოთა კულტურული ვაჭრობის ორგანიზაციას.

შემდეგი ნაკლი, რომელიც გავლენას ახდენს საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე და რომელიც აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას, — ეს არის ჩვენთვის ფონდების გამოყოფა სხვა რესპუბლიკებში და ისეთი საქონლის შემოზიდვა, რომლის წარმოება შესაძლებელია ადგილებზე, ადგილობრივი მრეწველობის მაქსიმალურად დატვირთვის მეშვეობით. მარტო კოოპერაციას სხვა რესპუბლიკებიდან ფონდების მიხედვით შემოაქვს 100 მილიონი მანეთის მხოლოდ სასურსათო საქონელი, რომელიც შეიძლება ადვილად გამოვუშვათ აქვე, თუ უზრუნველყოფილი ვიქნებით ნედლეულით.

იმ მიზნით, რომ განვტვირთოთ რკინიგზა, მოვახდინოთ არასაჭირო გადაზიდვების ლიკვიდაცია და თავიდან ავიცილოთ ასეთი წესებით გამოწვეული აუცილებელი დაკარგვა ფონდებისა, საჭიროა დავტვირთოთ ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნები. ამისათვის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უნდა მიაღწიონ რესპუბლიკის კუთვნილი ფონდების ნედლეულის სახით მიღებას იმ საქონელზე, რომლის ნედლეული ჩვენ არ მოგვეპოვება (სპირტი, შაქარი და სხვ.), ხოლო დანარჩენი საქონლის მიმართ მიაღწიონ საწარმოო პროგრამის გადიდებას, ვინაიდან ბევრი საქონლისათვის ჩვენ გვაქვს ნედლეულიც და დამხმარე მასალაც, რომელიც რესპუბლიკის ფარგლებიდან გააქვთ გადასამუშავებლად.

ამხანაგებო! საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, მთელი ქართველი ხალხი, აღზრდილი სტალინურ ტრადიციებზე ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ამხ. **ლ. ბერიას** მიერ, შემჭიდროებული **ლენინ-სტალინის** დიდი პარტიისა და საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ირგვლივ, იბრძოლებს რა 1940 წლის ბიუჯეტის შესასრულებლად, უზრუნველჰყოფს ჩვენი ბედნიერი რესპუბლიკის შემდგომ აყვავებას.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის ერთგულ შვილს და სიამაყეს ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას! (ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

გაუმარჯოს დიდ **სტალინს! (ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ კ. ა. ფილავას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ორდენოსანი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია იხილავს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისა და 1938—1939 წლების ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სს რესპუბლიკა დღეს მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში დგას. საქართველოს მრეწველობის აყვავება, სოფლის მეურნეობის აღმავლობა, კოლმეურნეობათა ეკონომიურად და პოლიტიკურად განმტკიცება, საბჭოთა ხალხის სოციალისტური კულტურის და ხელოვნების შესანიშნავი წარმატებანი, ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობრული კავშირის დამყარება ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების საფუძველზე და მუშაობის ბოლშევიკური სტილის დანერგვა დაკავშირებულია ქართველი ხალხის საყვარელი შვილის, საბჭოთა დაზვერვის სახელოვანი მეთაურის, დიდი **სტალინის** საუკეთესო თანამებრძოლის, ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** სახელთან. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხ. **ლ. ბერიას** ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად მთლიანად იცვალა სახე გეგეჭკორის რაიონმა, ისე როგორც მთელმა საქართველომ. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ყოველდღიური ხელმძღვანელობის შედეგად ჩვენს რაიონს ბიუჯეტის ზრდის დარგში დიდი მიღწევები აქვს. 1938 წელს გეგეჭკორის რაიონის ბიუჯეტი იყო 5.119.100 მანეთი, 1939 წელს ის უდრიდა 6.722.000 მანეთს, 1940 წელს კი უკვე 6.876.700 მანეთს უდრის.

1937 წელს ჩვენმა რაიონმა განათლების ხაზით მიიღო ბიუჯეტიდან 3.232.700 მანეთი, 1938 წ.—3.491.400 მანეთი, 1939 წელს კი—4.609.500 მან. ბიუჯეტის ასეთი ზრდისა და სტალინური მზრუნველობის შედეგად რაიონში ამჟამად გვაქვს დაწყებითი, არასრული საშუალო, სრული საშუალო და მოზრდილთა 75 სკოლა, 1 პედსასწავლებელი, 1 სუბტროპიკული ტექნიკუმი. რაიონში მასწავლებელთა რიცხვი უდრის 530 კაცს, მოსწავლეთა—11.000-ს. უმაღლესი განათლებით გვყავს 130 მასწავლებელი.

აღმავლობის ასეთივე სურათია ჯანმრთელობის დაცვის დარგშიც. 1937 წელს ბიუჯეტით მოცემული იყო 579.000 მან., 1938 წელს მოგვეცა 704.600 მან., 1939 წელს კი—1.192.000 მან. 1940 წელს ეს თანხა კიდევ უფრო იზრდება. გეგეჭკორის რაიონში მუშაობს 26 ექიმი, 63 ექიმის თანაშემწე, გვაქვს 14 საექიმო უბანი, 4 საუბნო საავადმყოფო, 1 პოლიკლინიკა, 2 ლაბორატორია, 4 სამალარიო პუნქტი, 8 საფერშლო პუნქტი და სხვ.

1939 წელს ადგილი არ ჰქონია გადახარჯვებს ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში, ხოლო საშემოსავლო ნაწილი შესრულებულ იქნა 499.400 მან. გადაჭარბებით. 1940 წელს ჩვენი რაიონისათვის მოცემული ბიუჯეტი როგორც საგასავლო, ისე საშემოსავლო ნაწილში შესრულებულ იქნება.

სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების განუხრელად გატარების შედეგად კოლმეურნეობები განმტკიცდნენ ორგანიზაციულად და პოლიტიკურად. რაიონის 55 კოლმეურნეობაში გაერთიანებულია მოსახლეობის 96,4 პროც. კოლმეურნეობებმა 1938 წ. მიიღეს ფულად 7.267.439 მან., ნატურით 50.696 ცენტნერი მარცვლეული, 1939 წელს კი—ფულად 7.997.080 მან., ნატურით—55.880 ცენტნერი. მიმდინარე წელს მიღებულია ყოველგვარი ზომები შემოსავლიანობის კიდევ უფრო გადიდებისათვის.

კოლმეურნეობათა შეძლებულობის წყაროს წარმოადგენს ჩაის კულტურა. რაიონში ჩაის კულტურა გაშენებულია 3.300 ჰექტარზე. რაიონმა წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 3.037.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ტუნგო გაშენებულია 541 ჰექტარზე, ციტრუსები — 183 ჰექტარზე და სხვ. მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა წელს შესრულებულია გადაჭარბებით. 9.200 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 9.386 ჰექტარი, გეგმის 102 პროცენტი. არახისი დათესილია გეგმით გათვალისწინებულ 170 ჰექტარზე. სატრაქტორო სამუშაოები მძრავლად ხვნაზე გადაყვანით გეგმით გათვალისწინებულ 2.500 ჰექტარის ნაცვლად შესრულებულია 2.602 ჰექტარზე.

„საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ა. წ. 25 აპრილის დადგენილების საფუძველზე მიმდინარე წელს ჩვენს რაიონში უნდა დაიწყოს ცხენისწყლის ნაპირების გამაგრება და მელიორაციული სამუშაოები სოფელ ვედიდკარში. ეს ჩვენს რაიონს საშუალებას მისცემს აითვისოს რამდენიმე ასეული ჰექტარი მიწა და აგრეთვე დაიცვას ცხენისწყლის ნაპირები განადგურება - წალეკვისაგან.

რაიონში გვაქვს ორი ჩაის ფაბრიკა, რომლებიც მიცემულ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. გვაქვს აბჰესის ელექტროსადგური 1.120 კილოვატის სიმძლავრისა, რომელიც ენერგიას აძლევს ცხაკაიას, აბაშის, გეგეჭკორის, ხობის და ფოთის რაიონებს და გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. ელექტროენერგიის მოხმარების ზრდასთან დაკავშირებით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს აბჰესის სიმძლავრის გადიდება, რისთვისაც ყოველგვარი შესაძლებლობა არსებობს.

რაიონში აშენდა სასტუმრო, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა ამ დღეებში. აშენებულია და ერთი დეკადის ვადაში ამუშავდება წყალსადენი.

ამრიგად, სტალინური მზრუნველობის შედეგად და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური დახმარებით რაიონს გაჩნია მთელი რიგი მიღწევები. რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო და ყველა გეგმებს გადაჭარბებით შეასრულებენ.

მე მხარს ვუჭერ საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წინადადებას, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილში დამტკიცდეს.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხ. ლავრენტი **ბერიას!**

გაუმარჯოს ხალხთა ბელადს, მამასა და მასწავლებელს დიდ **სტალინს! (ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ მ. დ. ჩუბინიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიას განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოუდგინა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი 1940 წლისათვის.

ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოყვანილია საქ. ფინსახკომის მოხსენებაში, ნათლად მოწმობენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებას და მის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო და ეკონომიური ძლიერების ზრდას.

მოძმე რესპუბლიკებთან ერთად იზრდებოდა და ძლიერდებოდა ორდენოსანი საქართველო, მისი სოციალისტური მეურნეობა. რესპუბლიკური მნიშვნელობის სამრეწველო სახკომატების საერთო პროდუქცია 1938 წელს შეადგენდა 417,3 ათას მანეთს, ხოლო 1939 წელს სამრეწველო საწარმოთა საერთო პროდუქცია შეადგენდა 490,1 ათას მანეთს. 1937 წელთან შედარებით ის გაიზარდა 118,2 ათასი მანეთით, ანუ 31,7 პროცენტით.

მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდება და მტკიცდება სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

მესამე სტალინური ხუთწლედის განვლილი ორი წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა მშრომელთა კეთილდღეობა. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ზოგიერთი ციფრები თბილისის სინამდვილიდან. 1938 წლის 1 იანვრისათვის შემნახველ სალაროებში შეტანილი იყო 39.066 ათასი მანეთის ანაბარი და თვითეულ მეანაბარეზე საშუალოდ 591 მანეთი მოდიოდა; 1939 წლის 1 იანვრისათვის ანაბარები შეადგენდნენ 53.648 ათას მანეთს და თითო მეანაბარეზე საშუალო 682 მანეთი მოდიოდა; 1940 წლის 1-ლ იანვრისათვის კი ანაბართა რაოდენობამ 64.582 ათას მანეთს მიაღწია და თვითეულ მეანაბარეზე საშუალოდ 726 მანეთი მოდის. ანაბართა ზრდასთან ერთად იზრდება მეანაბარეთა რაოდენობაც. 1940 წლის შემნახველ სალაროებს 88.933 მეანაბარე ჰყავდათ, ნაცვლად 66.155 მეანაბარისა 1938 წელს.

ვაჯამებთ რა განვლილი ორი წლის მიღწევებს, არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც ჩაატარეს თბილისის მშრომელებმა თბილისის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც აღზარდა დიდი **სტალინის** მოწაფემ და თანამებრძოლმა ამხანაგმა **ბერიამ**, ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე მოიპოვა უდიდესი მიღწევები როგორც მრეწველობაში, ისე საქალაქო მეურნეობის განვითარებაში.

წლითი-წლობით იზრდებოდა საქართველოს დედაქალაქის ბიუჯეტი. თუ პირველი ხუთწლედის უკანასკნელ წელს — 1933 წელს — ქალაქის ბიუჯეტი 57.422 ათას მანეთს შეიცავდა, 1940 წელს მარტო სახალხო განათლების საქმეს მოხმარდება 53.891 ათასი მანეთი.

ქალაქის საერთო განვითარებასთან ერთად უჩვეულოდ გაიზარდა საქართველოს ერთერთი უდიდესი სამრეწველო რაიონი — ლენინის რაიონი. ორი სტალინური ხუთწლედის და მესამე ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში რაიონში აშენდა და შენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები: ტრიკოტაჟის კომბინატი ღირებული 91 მილიონ მანეთად, შამპანურის კომბინატი, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს 4 მილიონ ბოთლ შამპანურს, ჩაის საწონი ფაბრიკა, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, რომელიც უშვებს ჩვენი მრეწველობისათვის ურთულეს დაზგებს, ავტოსარემონტო, ფოლადისა და თუჯის ჩამომსხმელი ქარხნები, ელდეპო, აგურის მექანიზებული ქარხანა, სამკერვალო ფაბრიკა და სხვ.

აქ აშენდა 7 ახალი სკოლა. 1940 წელს რაიონში შენდება ორი ახალი სკოლა 1340 ბავშვისათვის.

მნიშვნელოვნად გაიზარდა დაბანდებანი რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. ამ საქმეზე 1939 წ. ბიუჯეტიდან დაიხარჯა 2.642.900 მანეთი, ე. ი. დაახლოვებით სამჯერ მეტი ვიდრე 1935 წელს.

ჩატარდა დიდი მუშაობა რაიონის კეთილმოწყობისათვის. მოკირწყლული და ასფალტირებულია ქუჩები, გაყვანილია ტრამვაის ფართო ლიანდაგიანი გზები. მოწყობილია საუცხოო პარკი, რომლის ფართობი 7 ჰექტარს აღემატება. მარტო წელს დავრგეთ 50 ათასი ძირი ხე.

ყველა ეს მიღწევა რაიონის მშრომელებმა მოიპოვეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით, რომელსაც მთელი რიგი წლების განმავლობაში სათავეში იდგა დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი **ლ. პ. ბერია**.

ახალი ბიუჯეტის შესრულება მოითხოვს გადახარჯვების, გაცდენების და უყაირათობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებას.

მე წინადადება შემომაქვს წარმოდგენილი ბიუჯეტი, 1.227.451 ათასი მანეთის მოცულობით, მის შემოსავალ და გასავალ ნაწილში დამტკიცებული იქნას.

დაამტკიცებს რა 1940 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტს, მშრომელთა კულტურული და მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის ბიუჯეტს, სესია ამით გამოსთქვამს რწმენას, რომ იგი შესრულებული იქნება. ამის თავდები ბრძნული ხელმძღვანელობა დიადი ბოლშევიკური პარტიისა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მოუპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები.

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს და შთამგონებელს დიდ **სტალინს! (ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ ნ. ა. ჯინჭარაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია 1940 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის შესაბამისად. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ზრდა ემყარება ჩვენი სოციალისტური მეურნეობის უდიდეს მიღწევებს. საქართველო აგრარული ქვეყნიდან მოკლე პერიოდის განმავლობაში გადაიქცა ინდუსტრიულ - აგრარულ ქვეყნად. ეს ბრწყინვალე მიღწევები მოპოვებულია ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით.

განმტკიცდა და გაიზარდა ორდენოსანი საქართველოს ინდუსტრიული ქალაქი ქუთაისიც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქუთაისი გაღატაკებულ და დაბეჩავებულ ქალაქს წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ქუთაისის აყვავება. გიგანტურად განვითარდა მრეწველობა. თუ 1913 წელს ქუთაისის მთელი მრეწველობის წლიური პროდუქციის ღირებულება 290.000 მანეთს უდრიდა, 1940 წლის პირველ ოთხ თვეში ქუთაისის მრეწველობის მიერ გამოშვებულია 18.642.000 მანეთის პროდუქცია.

შემდეგ ამხ. ჯინჭარაძემ დაწვრილებით ილაპარაკა ქუთაისის ახალი საწარმოების შესახებ და დაახასიათა თვითეული მათგანის მიერ გეგმების წარმატებით შესრულება. გააცნო რა სესიას ქუთაისელი სტახანოველები და სოციალისტური მრეწველობის სხვა მოწინავე მუშაკები, რომლებიც წარმატებით ნერგავენ შრომის სოციალისტურ მეთოდებს, ამხ. ჯინჭარაძემ სესიის ყურადღება შეაჩერა ქუთაისის ბიუჯეტის საკითხებზე. 1935 წელს ქუთაისის ბიუჯეტი შესრულებულ იქნა 10.600,000 მანეთის რაოდენობით, ხოლო 1938 წელს ბიუჯეტის შესრულება უდრიდა 26.148.000 მანეთს.

საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტი სწორად უპასუხებს ჩვენი ახალი სოციალისტური ცხოვრების მოთხოვნილებებს, იგი სავსებით შეესაბამება პარტიის XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებითა და დიდი **სტალინის** ბრძნული მითითებებით ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანებს.

ამხანაგო დეპუტატებო, მოცემული ბიუჯეტის სათანადოდ გამოყენება დიდადაა დამოკიდებული ზემდგომი ორგანოების სწორ ხელმძღვანელობაზე. ამ მიმართულებით უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისაგან ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვიღებთ დამაკმაყოფილებელ დახმარებას. ყურადღება არ ექცევა სამშენებლო მასალის დროზე გამოყოფას იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რომლებიც კომისარიატს მოეპოვება. საჭიროა შემდგომში მეტი ყურადღება და დახმარება.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს 1940 წლის ბიუჯეტი, ისე როგორც საერთოდ დიდი საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი მტკიცედ გამოხატავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხედრო - თავდაცვითი ძლიერების შემდგომ შეუფერხებელ ზრდას. ბიუჯეტის ზუსტად შესრულებით ჩვენ კიდევ უფრო მეტ სიმაღლეზე ავიყვანთ სახელოვანი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სიძლიერეს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს! (ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, სტალინური დაზვერვის სახელოვან მეთაურს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას! (ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-3 სესია

კამათი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების შესახებ გაკეთებელი მოხსენების გამო

დეპუტატ გ. ქ. კირიაკოვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის ყოველი ციფრი გამოხატავს ჩვენი დიადი სამშობლოს სიძლიერეს, რომელიც მიღწეულია კომუნისტური პარტიისა და დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინის** ხელმძღვანელობით. წარმოდგენილი ბიუჯეტი სავსებით შეესაბამება ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ დიდ ამოცანებს.

ლუქსემბურგის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტი 1939 წელს საშემოსავლო ნაწილში შესრულებულ იყო 5.115.300 მანეთის რაოდენობით (106,2 პროც.) და საგასავლო ნაწილში — 4.922.100 მანეთის რაოდენობით (102 პროც.). საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულებამ ჩვენ არ უნდა დაგვამშვიდოს. პირიქით, კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ მუშაობა, რომ 1940 წლის ბიუჯეტი გადაჭარბებით შევასრულოთ და მტკიცედ დავიცვათ საფინანსო დისციპლინა.

ლუქსემბურგის რაიონი წარსულში ჩამორჩენილი იყო. კომუნისტური პარტიისა და პირადად ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ხელმძღვანელობით ჩვენი რაიონი დაწინაურდა. ეხლა შეიძლება ითქვას, რომ ლუქსემბურგის რაიონი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონია, რადგან 6.329 საგლეხო მეურნეობიდან კოლმეურნეობების გარეშეა მხოლოდ 200 ოჯახამდე. ჩვენმა კოლმეურნეობებმა 1939 წელს დიდ წარმატებებს მიაღწიეს: ერთი ჰექტარი ვენახიდან 65 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, ერთი ჰექტარი თამბაქოდან—14 ცენტნერი, კარტოფილი — 119 ცენტნ., სიმინდი—34 ცენტნ. დიდად განვითარდა აგრეთვე მეცხოველეობა. 44 კოლმეურნეობაში მოწყობილია 150 ფერმა. თუ 1939 წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატი იყო 95 კოლმეურნეობა და მოწინავე ადამიანი, წელს გამოფენის მონაწილედ დამტკიცებულია 184 კოლმეურნეობა და მოწინავე ადამიანი. გამოფენის მონაწილედ არის აგრეთვე დამტკიცებული მთლიანად ლუქსემბურგის რაიონი, სამანქანო-სატრ. სადგური და 1 მეცხვარეობის ფერმა.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს კომპარტიის XIII ყრილობამ მითითება მოგვცა ადგილობრივი მრეწველობის ყოველმხრივი განვითარების შესახებ. მიუხედავათ ამისა, ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარების დარგში ჩვენ ძალიან ბევრი ნაკლოვანება გვაქვს. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ სარაიონო მრეწველობას სათანადო სახკომატები ერთობ ცუდად ხელმძღვანელობენ, ხოლო სარაიონო მრეწველობის სათანადო მასალებით მომარაგების შესახებ არცერთი სახკომატი არ ზრუნავს. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

სახელმწიფო ბიუჯეტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხარჯებს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის, ლუქსემბურგის რაიონის ბიუჯეტიდან, რომელიც 5.211.000 მანეთს უდრის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის გადადებულია 4.319.600 მანეთი, რაც უზრუნველჰყოფს ჩვენი რაიონის კულტურულ ზრდას. ამ ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფინსახკომის და მისი ადგილობრივი ორგანოების კარგ მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საბჭოს ჯერ კიდევ მეორე სესიაზე დეპუტატებმა აღნიშნეს, ფინსახკომისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის დეფექტები, ამ დეფექტებს კვლავ აქვს ადგილი როგორც დაგეგმვის, ისე სახელმწიფო თანხების ხარჯვის კონტროლის დარგში. ფინსახკომისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობა ისე უნდა გარდაიქმნას, რომ უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვა.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი ბიუჯეტი სავსებით შეეფერება მესამე სტალინური ხუთწლედის ამოცანებს და ამიტომ ვუერთდები დეპუტატების წინადადებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ საბიუჯეტო კომისიის შესწორებების შეტანით.

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში, ყველა ფეხზე დგება).**

დეპუტატ ღ, პ. ჩხიკვიშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტიც, რომელიც აქ წარმოდგენილია განსახილველად და დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ასახავს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური სიძლიერის არაჩვეულებრივ ზრდას. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების შედეგად საქართველო — წარსულში მეფის კოლონია და სოფლის მეურნეობის დარგში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა — მოწინავე ინდუსტრიულ - აგრარულ ქვეყნად გადაიქცა. საქართველო დღეს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე აყვავებულ რესპუბლიკას. საბჭოთა საქართველოს ასეთი აყვავება და გიგანტური მიღწევები დაკავშირებულია დიდი **სტალინის** თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სახელთან.

აქ წარმოდგენილ ბიუჯეტში გამოხატულებას პოულობს ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა უდიდესი მიღწევებიც.

ჩოხატაურის რაიონის 1940 წლის ბიუჯეტი უდრის 5.978.000 მანეთს, რაც საგრძნობლად აღემატება 1938—1939 წლების ბიუჯეტს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რაიონის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების 58 პროცენტი ხმარდება განათლების საქმეს. თუ ჩვენი რაიონის 1938 წლის განათლების ბიუჯეტი უდრიდა 2.514 ათას მანეთს, 1940 წელს, როგორც აქ წარმოდგენილ პროექტიდან სჩანს, განათლების საქმეზე რაიონში დაიხარჯება 3.502.700 მანეთი. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სასკოლო მშენებლობის საქმეს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩოხატაურის რაიონში არცერთი სასკოლო შენობა არ აშენებულა. დღეს კი მრავლად მოიპოვება კაპიტალური სასკოლო შენობები. 1939 წელს რაიონის ცენტრში აშენდა სრული საშუალო სკოლის შენობა, რაზედაც ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

ასევე დიდი თანხაა გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის დარგში. ჩვენ გვაქვს კარგად მოწყობილი საავადმყოფოები როგორც ცენტრში, აგრეთვე სოფლებში. ასევე მრავლად არის მოწყობილი საექიმო და საფერშლო პუნქტები. მშრომელთა ჯანმრთელობას ემსახურება 30 ექიმი და ექიმის თანაშემწე. რაიონში გვაქვს პოლიკლინიკა, ტუბდისპანსერი, ვენერიული დისპანსერი, სამალარიო სადგური, ლაბორატორია, სამშობიარო სახლები, საბავშვო ბაგები და სხვ.

რაიონს დიდი მიღწევები აქვს სოფლის მეურნეობის დარგში. რაიონში ჩაის პლანტაციების ფართობი უდრის 1.800 ჰექტარს, ციტრუსებისა — 170 ჰექტარს, ვენახისა—500 ჰექტარს. საგრძნობლად გადიდდა აგრეთვე მარცვლეული კულტურების თესვაც. ჩქარი ტემპით ვითარდება რაიონში მეცხოველეობა. თუ რაიონში 3-4 წლის წინ მეცხოველეობის ხუთიოდე ფერმა არსებობდა, ამჟამად მეტწილ კოლმეურნეობებთან ჩამოყალიბებულია ორ-ორი ფერმა და მათში ითვლება 5000 სულზე მეტი საქონელი.

ამხანაგო დეპუტატებო! 1940 წლის ბიუჯეტი სავსებით შეეფარდება იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახულია დიდი **სტალინის** მიერ. მე სავსებით ვუერთდები ჩემს წინ გამოსული დეპუტატების აზრს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი საბიუჯეტო კომისიის მიერ მასში შეტანილი ცვლილებებით მოწონებული და დამტკიცებული იქნეს.

ჩოხატაურის რაიონის მშრომელები ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად თავდადებით იბრძოლებენ პარტიის XVIII ყრილობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის, 1940 წლის ბიუჯეტის ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

გაუმარჯოს მტკიცე სტალინელს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას! (მქუხარე ტაში)**

გაუმარჯოს პროგრესიული კაცობრიობის საყვარელ მამასა და მასწავლებელს, ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს! (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ ი. ს. ბერიტაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! მე მსურს მოგახსენოთ საერთო განათლების ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომლის დაფინანსება ჩემის აზრით არსებით ცვლილებას მოითხოვს. ეს საკითხი ეხება საშუალო სკოლის ბიბლიოთეკებს და ლაბორატორია-კაბინეტებს.

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში საშუალო განათლება ყველასათვის მისაწვდომი გახდა, როგორც ქალაქებში ისე სოფლად. ჩვენ გვაქვს საშუალო სკოლები ისეთ პატარა სოფლებშიაც, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში ნორმას ვერ აღწევს.

ცნობილია, რომ ზოგიერთ სოფლიდან ჩამოსული საშუალო სკოლადამთავრებულთა შორის არიან ისეთებიც, რომელთა საერთო განათლება-განვითარება დაბალ დონეზე დგას ქალაქებში საშუალო სკოლადამთავრებულებთან შედარებით. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სოფლის სკოლების ზოგიერთი ფრიადოსნები ვერ ინარჩუნებენ ფრიადოსნობას უმაღლეს სასწავლებელში შემოსვლისას.

საშუალო სკოლის მოსწავლეთა დაბალი მომზადების მაჩვენებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ შარშან მისაღებ გამოცდებზე გამოცხადდა 2041 მოსწავლე, ხოლო საკონკურსო გამოცდები ჩააბარა 931-მა. საგულისხმოა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულებიდან ბევრი ვერ იჩენს ისეთ საზოგადო განვითარებას, რომ 4-5 წლის განმავლობაში სწავლა დაამთავროს ისე, როგორც ამას მოითხოვს უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა.

მაგალითად, ქიმიის ფაკულტეტზე 1934 წელს ჩაირიცხა 80 სტუდენტი, 5 წლის შემდეგ სახელმწიფო გამოცდებზე დაშვებულ იქნა 39 კაცი, აქედან გამოცდები ჩააბარა და დიპლომი მიიღო 20-მა.

უმაღლეს სასწავლებლებში მსმენელთა ნაწილი ისეთია, რომ ვერ ახერხებს უნივერსიტეტის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების ისე ღრმად შესწავლას, როგორც ეს საჭიროა.

ახლა განვიხილოთ რა არის ყოველივე ამის მიზეზი და რა კავშირი აქვს მას ჩვენს სახელმწიფოს ბიუჯეტთან. მოსწავლეთა საერთო მომზადების ჩამორჩენილობას სხვადასხვა მიზეზები აქვს, მაგრამ მე დავასახელებ მხოლოდ ორ მიზეზს, რომელთაც უსათუოდ უაღრესი მნიშვნელობა აქვს. პირველი, ჩვენი სოფლის ახალგაზრდობის ნაწილს არა აქვს წაკითხული ჩვენი მხატვრული ლიტერატურა, ჩვენი ისტორიული და საბუნებისმეტყველო ლიტერატურა, რომელიც ქართულ ენაზე მოიპოვება. სუსტად იციან აგრეთვე რუსული ენაც და ამის გამო სათანადოდ ვერ სარგებლობენ რუსული მხატვრული, ისტორიული და საბუნებისმეტყველო ლიტერატურით. მთელი იმათი სწავლა-განათლება მეტწილად ამოიწურება სულ რამდენიმე სახელმძღვანელო წიგნების შესწავლით. მე დარწმუნებული ვარ, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი სასკოლო საგნებს ასწავლის მხოლოდ იმავე სახელმძღვანელოების შემწეობით. სოფლად მასწავლებელი და მოსწავლე ვერ ეცნობიან ქართულ და რუსულ მხატვრულ ლიტერატურას უშუალოდ ორიგინალებიდან. ზოგიერთ სკოლებს არ მოეპოვებათ სათანადო ბიბლიოთეკა.

მე გავეცანი ბიბლიოთეკის მდგომარეობას ჩემს საარჩევნო ოლქში, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ეს რაიონი გამონაკლისს არ წარმოადგენს. ქოხ-სამკითხველოების, კლუბების, არასრული საშუალო სკოლების ბიბლიოთეკების მომარაგება მეტწილად სწარმოებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო ადგილობრივი შემოსავლის დროულად შეუგროვებლობის გამო ბიბლიოთეკებისათვის საჭირო თანხების მიღება ძალიან ჭიანურდება.

ჩვენი მოსწავლეთა საერთო მომზადების ჩამორჩენილობის მეორე მიზეზი არის სათანადო ფიზიკური, ქიმიური ლაბორატორიებისა და საბუნებისმეტყველო კაბინეტების უქონლობა.

დამეთანხმებით, რომ თუ სკოლებს არა აქვთ სათანადო შინაარსის ბიბლიოთეკები ქართულ-რუსულ ენაზე და თუ მათ არა აქვთ სათანადოთ მოწყობილი ფიზიკის, ქიმიის ლაბორატორიები, ბიოლოგიის და გეოგრაფიის კაბინეტები, ასეთი სკოლები ვერ მისცემენ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას ნამდვილ საშუალო განათლებას.

ახლა მოგახსენებთ ზოგიერთ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ჩემის აზრით დასახულ უნდა იქნას აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

1. განსახკომმა უნდა შეიმუშაოს სპეციალური კომისიის საშუალებით იმ წიგნთა და ჟურნალთა სია ქართულ-რუსულ ენაზე, რომლებიც უნდა არსებობდეს თვითეულ საშუალო და არასრულ საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში.

2. კომისიამ უნდა შეიმუშაოს იმ წიგნთა მინიმუმი, რომლებიც აუცილებლად წაკითხულ უნდა იქნას მოწაფეთა მიერ ამა თუ იმ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით.

3. თვითეულ რაიონში უნდა დაარსდეს ერთი სრული ბიბლიოთეკა სპეციალურად მასწავლებლებისათვის.

4. უნდა დაევალოს აგრეთვე განსახკომს შეიმუშაოს სპეციალური კომისიის საშუალებით სია იმ ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და გეოგრაფიული ხელსაწყოებისა და ნივთებისა, რომლებიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს თვითეულ საშუალო და არასრულ საშუალო სკოლას.

5. საჭირო ხარჯები ამ მიზნისათვის არასრული საშუალო სკოლისათვის უნდა გაიღონ ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო საშუალო სკოლისათვის—რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. ამ შემთხვევაშიაც საჭირო თანხები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ცენტრალიზირებული უნდა იყოს რაიონში.

ორდენოსანმა საქართველომ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე. საბჭოთა საშუალო სკოლასაც აქვს დიდი მიღწევები. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ახალი საქმე საშუალო სკოლის შემდგომ განვითარებისათვის, რომელზედაც მე ზემოდ მქონდა ლაპარაკი, საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის ხელმძღვანელობით ახლო ხანში შესრულდება.

გაუმარჯოს ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს! (ხანგრძლივი ტაში).**

დეპუტატ ბ. პ. გოგუას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ბიუჯეტის მრავალ საკითხთა შორის მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ხელოვნების დარგში დასახულ ღონისძიებებზე. დიდი სტალინური ხუთწლედების შედეგად, იმ ბოლშევიკური ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა უწევდა და უწევს საბჭოთა ხელოვნების განვითარებას, ჩვენ ამ დარგში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ. საკმაოდ მჭერმეტყველურად მოწმობს ამას ის ფაქტი, რომ 1939 წლის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტით ხელოვნების დასაფინანსებლად გაღებული იყო 43.687.000 მანეთი.

მშრომელთა მასების უჩვეულოდ გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა მხატვრული მომსახურების მიზნით თეატრებისა და სხვა მხატვრულ სანახაობათა ქსელი უფრო მეტად გაიზარდა. გასული წლის განმავლობაში გაიხსნა ახალი თეატრები ისეთ სარაიონო ცენტრებში, როგორიცაა ზესტაფონი, წულუკიძე, ონი, გორი და სხვ. თბილისში დამთავრდა და ექსპლოატაციაში შევიდა ცირკის ახალი შენობა, ამჟამად თეატრების რიცხვი 46-ს აღწევს. საქართველოს მოწინავე თეატრებს მტკიცედ უკავიათ საპატიო ადგილი საკავშირო მნიშვნელობის მოწინავე თეატრებს შორის. თეატრების რეპერტუარი მნიშვნელოვნად შეივსო პოლიტიკურად გამართული და მაღალმხატვრული პიესებით.

აღსანიშნავია ისეთი წარმოდგენები, როგორიცაა: „ბოგდან ხმელნიცკი", „გრაფის ქვრივი" — რუსთაველის სახელობის თეატრში, „გიორგი სააკაძე" — მარჯანიშვილის სახელობის და ქუთაისის თეატრებში, „მადამ სან-ჟენ" — მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, „ნაპერწკლიდან", „პაველ გრეკოვი"— გრიბოედოვის სახელობის თეატრში, „ტონდრაკიენი" სომხურ დრამაში და სხვ., რომელთა განხორციელებამ გვიჩვენა ჩვენი თეატრების საგრძნობი ზრდა.

მრავალფეროვან ნაციონალურ საოპერო რეპერტუარს დაემატა ორიგინალური ოპერა „დეპუტატი". მიმდინარე სეზონში ოპერის კოლექტივი მაყურებელს უჩვენებს აგრეთვე ოპერა „კაკო ყაჩაღს". მიმდინარეობს ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა საბჭოთა თემატიკაზე აგებული ახალი ოპერების შესაქმნელად. 1940 წელს თბილისის საოპერო თეატრს დასადგმელად გადაეცემა შემდეგი მუსიკალური ნაწარმოებები: კომპოზიტორ კილაძის „ლადო კეცხოველი", ტუსკიას — „სამშობლო", ბალანჩივაძის — „ბედნიერება", გოკიელის—„გელა", — აგებული აკაკი წერეთლის „პატარა კახის" სიუჟეტზე.

თეატრების შემოქმედ მუშაკთა რიცხვი აღწევს 2014-ს. მათ შორის 1.782 მსახიობია, დანარჩენი 232—რეჟისორი, მხატვარი და კომპოზიტორი. მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს თბილისის სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის გახსნა, რომელიც მომავალში სავსებით უზრუნველჰყოფს თეატრების მაღალკვალიფიციური მომზადებული კადრებით დაკომპლექტებას.

1939 წელს ნაჩვენები იყო 5.133 წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო 1.800.000 მაყურებელი და შემოსავალი უდრიდა 9.980.000 მანეთს.

შედარებით მოწესრიგდა თეატრების სამეურნეო საქმიანობა, რასაც ხელი შეუწყო საკავშირო მთავრობის მიერ თეატრის მუშაკთათვის შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შემოღებამ.

ფართოდ არის გაშლილი მუსიკალური სასწავლებლების ქსელი. მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების რიცხვი 52-ს აღწევს. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემაში არსებულ სასწავლებლებში 12.409 მოსწავლე სწავლობს. მარტო სტიპენდიებზე ყოველწლიურად 3.337.000 მანეთი იხარჯება.

აღდგენილია ხალხური შემოქმედების ცალკეული დარგები.

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში შემოქმედებითი მხრივ გაიზარდნენ და გაძლიერდნენ კომპოზიტორები და მხატვრები. 1939 წლის მათი შემოქმედებითი ანგარიში მოწმობს მუსიკალური და საბჭოთა ხელოვნების შემდგომ განვითარებასა და აყვავებას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ავტონომიური რესპუბლიკების, აფხაზეთისა და აჭარის, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის ზრდა ხელოვნების განვითარების დარგში.

მაგრამ ამასთანავე უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვერ შევძელით საჭირო ეფექტურობით გამოგვეყენებინა ის ფართო საშუალებები და დახმარება, რაც სახელმწიფომ აღმოუჩინა ხელოვნების დარგს. ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მნიშვნელოვან ნაკლს. ვერ შევძელით კადრების მომზადების გეგმის შესრულება. თეატრების გარკვეულმა ნაწილმა თავისი სამეურნეო წელი გარღვევით დაამთავრა. მათს სამეურნეო საქმიანობაში ვერ დავამყარეთ საჭირო წესრიგი. ფინანსიური დისციპლინის საკითხი ხელოვნების ზოგიერთ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ მოითხოვს სათანადოდ მოწესრიგებას, ჯეროვნად ვერ დამკვიდრდა გეგმიანობა თეატრების მუშაობაში, დიდი მუშაობა გვმართებს კადრების შესწავლის საქმეში.

საქართველოს საბჭოთა ხელოვნების ფრონტის წინაშე დასმულია საპატიო ამოცანა — გამოავლინოს მთელი თავისი შესაძლებლობანი, რომლებიც საბჭოთა საქართველოს XX წლისთავთან დაკავშირებით სრულყოფილად ასახავენ სოციალისტური მშენებლობის მიღწევებს. ამისათვის ყველა პირობა მოგვეპოვება. 1940 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 45.915.600 მანეთი. ეს ისეთი ძლიერი მატერიალური ბაზაა, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენი ხელოვნების შემდგომ აღმავლობას.

ეჭვი არ არის, რომ ხელოვნების მუშაკები სასახელოდ შეასრულებენ თავიანთ ამოცანას, ვინაიდან ჩვენ ხელმძღვანელობას გვიწევს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც მუშაობს სტალინურ სტილზე აღზრდილი დიდი **სტალინის** ერთგულმა თანამებრძოლმა ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ.**

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას! (ტაში)**

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს! (მქუხარე ტაში).**

დეპუტატ ი. ო. მოსაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

როგორც ამასწინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად, ისე მიმდინარე სესიაზე ჩვენს წინაშე სახკომსაბჭოს მიერ განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი სრულყოფილად გამოსახავენ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, ჩვენი სახალხო მეურნეობის შეუნელებელ აღორძინებას, ბედნიერი და საამური ცხოვრებით გახარებული მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელ ზრდასა და კულტურულ აყვავებას.



ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი საბჭოთა ხალხის გამარჯვების გამომხატველია.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მწერალი ვარ, მაგრამ როგორც ხედავთ, გამოცდილი ფინანსისტების და სამეურნეო მუშაკების გვერდით მონაწილეობას ვიღებ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სამეურნეო საკითხების განხილვაში. თქვენ ეს არც გაგიკვირდებათ, მაგრამ, როგორც სჩანს, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გადაღმა, იქ, სადაც ამჟამად მეორე იმპერიალისტური ომის შავი ხანძარი გაჩაღებულა, ასეთი მოვლენა რაღაც დიდ შეუსაბამობას წარმოადგენს.

მე მინდა მოგახსენოთ, შესაძლებელია, თქვენთვისაც ცნობილი და მეტად საგულისხმო ფაქტი—პოეტის ამხ. ლებედევ-კუმაჩის გამოსვლის შესახებ რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე. მან თავის სიტყვაში მახვილად აღნიშნა, თუ ფრანგულ გაზეთ „ევრში" ვინმე ანდრე პიერმა უმაღლესი საბჭოს წინა სესიაზე მისი გამოსვლა როგორ გახადა თავისი ფელეტონის საგნად. ფრანგული გაზეთის კალმით მოვარჯიშე, როგორც სჩანს, გაოცებია იმ გარემოებას, რომ საბჭოთა პოეტი უმაღლესი საბჭოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობას იღებს.

„სად ლექსი და სად შემოსავალ-გასავალი? სად რითმები და სად ბუჰჰალტერია? ბურჟუაზიული მოლაყბის ობმოდებული ტვინი ბოდვაში გადავარდნილა და ამხ. კუმაჩის ლექსად თქმულ სიტყვას დაცინვით იხსენიებს, მას „საბიუჯეტო პოემას" და „ფინანსიურ ლირიკას" ეძახის.

საცოდავ ანდრე პიერს დავიწყებია, რომ ჩვენ, საბჭოთა მწერლები, კაპიტალისტების ლაქიები არა ვართ და მათ უმადურ ნასუფრალს არ შევექცევით.

საბჭოთა მწერლები, მთელს ჩვენს საბჭოთა ინტელიგენციასთან და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გმირულმა ბოლშევიკურმა პარტიამ სამუდამოდ დაგვიხსნა კაპიტალიზმის ტყვეობისაგან და ჩვენს მოქალაქეობრივ უფლებებში აღგვადგინა. ჩვენ, საბჭოთა მწერლებიც, დიადი სტალინური ეპოქის შვილები და მშენებლები ვართ და, მოწინავე კაცობრიობის ერთადერთი მეგობრის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** სიბრძნით შთაგონებულებს, მთელი საბჭოთა ხალხის ბედნიერების ბიუჯეტში შეგვაქვს ჩვენი ხალისიანი სიმღერებიც.

პოეტს ეძახის მისი სახელი
დიდი ეპოქის ცეცხლით დაიწვას,
ყოველი ქვის და რკინის ნაჭერი
მკერდით, სისხლით და ლექსით დაიცვას.
გაშალოს დიდი პოემის ამბად
ხარაჩოები ცამდე აშლილი,
მისცეს ქვეყანას პური და ბამბა,
მისცეს ფოლადი და ქვანახშირი!

და ჩვენ, ქართველი საბჭოთა მწერლები, მხარდამხარ მივდევთ მთელს ჩვენს გმირულ საბჭოთა ხალხს, ჩვენი ქვეყნის მშენებლების მრავალმილიონიან არმიას, ჩვენს მუშებსა და კოლმეურნეებს, ჩვენი მრეწველობის და საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველებს.

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა მტკიცედ შეიჭრა და დამკვიდრდა ჩვენი ხალხის ყოფა - ცხოვრებაში. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური დახმარებისა და მზრუნველობის შედეგად, საბჭოთა მწერლები მშრომელთა ფართო მასებში უდიდესი სიყვარულით და პოპულარობით სარგებლობენ. საბჭოთა ქვეყნის მწერალს შეუზღუდველი ასპარეზი და პირობები აქვს მთელი თავისი პოტენციალური ძალა და ნიჭი, მთელი თავისი შემოქმედებითი უნარი გამოავლინოს.

ქართველი საბჭოთა მწერლები უდიდესი სიყვარულით სწერენ და მღერიან თავის განახლებულ და აყვავებულ სამშობლოზე, ფერად-ფერადი სალებავით ჰხატავენ ქართველი მშრომელი ხალხის და მთელი საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების სურათებს.

ამავე დროს, ქართველი საბჭოთა მწერლები დაუღალავად მუშაობენ მოძმე ლიტერატურების საუკეთესო კლასიკოსების თარგმანებზე.

ამ დიდად მნიშვნელოვანი მუშაობით ქართველი მწერლები ხელს უწყობენ ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა სტალინური მეგობრობის განმტკიცებას.

ამასთან ერთად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მთელი აქტივი გულმოდგინედ მუშაობს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლის თავისათვის, რათა საუკეთესო და მაღალმხატვრული ნაწარმოებებით შეხვდეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამ უდიდეს ისტორიულ თარიღს.

როგორც ჩვენს სამეურნეო მუშაკებს, ისე ჩვენც, მწერლებს, მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევებისა, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, რომ პარტიის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა ჩვენი ქვეყნის და ხალხის წინაშე პირნათლად შევასრულოთ.

ჩვენ, საბჭოთა მწერლებს, ჩვენს სამეურნეო მუშაკებთან ერთად გვაქვს ყოველგვარი შესაძლებლობა, შეგვწევს საკმარისი ძალა, ნიჭი და უნარი, რომ ჩვენს მუშაობაში ყოველგვარი ნაკლი გამოვასწოროთ. როგორც ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის თვითეული მანეთი ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომ აღორძინებას და ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილების განმტკიცებას უნდა მოხმარდეს, ისე ქართველი საბჭოთა მწერლებიც, რომელნიც მთელ ქართველ ხალხთან ერთად, უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ბოლშევიკურად აღზარდა და გაწრთვნა საბჭოთა საქართველოს განმაახლებელმა ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ, ეცდებიან, რათა ყოველი მათი სიტყვა და ნაწარმოები ჩვენი დიადი სამშობლოს შემდეგ აყვავებას და აღორძინებას ემსახუროს.

ამხანაგო დეპუტატებო! მე ვუერთდები მთელი რიგი დეპუტატების წინადადებას სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მივიღოთ და დავამტკიცოთ იმ შესწორებებით, რომელნიც მათში საბიუჯეტო კომისიამ შეიტანა. ხოლო ჩემი სიტყვა, როგორც პოეტმა დეპუტატმა, მაინც მინდა ლექსით დავასრულო:

შავი კვამლი ეფინა საქართველოს მთა-ველებს,
შავი ცეცხლი ვენახებს და მტკავლიან თავლებს;
შავი გლოვა მოჰქონდათ ყორნებსა და არწივებს,
საქართველოს დედებმა — საქართველოს დიდება
ბაზალეთის აკვანში დაცრემლეს და არწიეს.

ქოხებს კვნესა ზარავდა, ხნულს ნაცარი ჰფარავდა,
ოხვრა იყო „ლილეო" და წკრიალა „ვარადო",
ოხვრა იყო გაბმული დიდის ტკბილი ნანინა,
ჩემო კარგო ქვეყანავ, ბორკილები გეყარა,
ბორკილებმა ცრემლებით მიწა დაგაბანინა.

მაგრამ შენი ღრუბლების ქარიშხლიან აფრიდან,
ბაზალეთის აკვნიდან, შეუდარები აფრინდა,
ცეცხლიანი თვალები შეანათა განთიადს.
ეს თვალები მზესავით სიხარულის მთესავი —
დღეს მსოფლიოს ნატვრად და ჩვენს იმედად ანთია.

მან გაალო პირველად შენი ბნელი საკანი,
შენი ნატვრა ატარა, შენი გულის საგანი,
წინ გაგიძღვა უთვალავ ბრძოლა გადატანილი —
წითელ დროშის კაშკაშით, უძლეველი ვაჟკაცი —
შენი გმირი, სიამაყე, შენი დიდი სტალინი.

და დღეს, ჩემო სამშობლოვ, აგისრულდა ოცნება,
რაზეც დიდხანს იდარდეს შენმა დიდმა მგოსნებმა,
გაიხარე ქვეყანავ, მწუხარებას ჩვეულმა,
შენი მიწა-ალაგი, შენი დაბა-ქალაქი,
შენი ზღვა და ხმელეთი სანეტაროდ ქცეულა.

დღეს გახსენი თავიდან მატიანე უცვლელი,
შენი დიდი ცხოვრების ეს უკვდავი ფურცელი,
შენი ყველა ზაფხულის ეს დიადი ზაფხული.
ის მჯრელი და ბასრია, შიგ ბელადის აზრია,
შიგ სტალინის დიდება არის გამოსახული.

საქართველოს დედებო, დაულოცეთ აკვანი,
— ვინც გაალო პირველად ჩვენი ბნელი საკანი,
ვინც სამშობლო დამწვარი ხელმეორედ დახატა
და ცხოვრება ამდენი ცხარე ცრემლებ-ნადენი
საბჭოეთის მიწაზე საამური გახადა.

შემოვერტყათ მის დროშას როგორც რკინის კედელი,
კოლმეურნე, მფრინავი, პოეტი და მჭედელი,
მთელი ჩვენი ქვეყანა აიმართოს სალივით!
გვინათებდის მზესავით სიხარულის მთესავი —
ჩვენი მამა, სიამაყე, ჩვენი დიდი სტალინი!

(ხანგრძლივი მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-3 სესია

კამათი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ დ. ნ. ჩიკვაიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მოწონებულია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და ჩვენს წინაშე წარმოდგენილია განსახილველად, მკაფიოდ ადასტურებს სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელი სხივებით გაბრწყინვებული ორდენოსანი საქართველოს სახალხო მეურნეობის განუხრელ ზრდასა და აღორძინებას. იგი ადასტურებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრება მართლაც ბედნიერი და საამური გახდა.

ტყიბულის რაიონი, რომელიც სტალინური ხუთწლედების მანძილზე აღორძინდა და აყვავდა, როგორც სამთამადნო მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის რაიონი, დღეს რესპუბლიკის ერთერთ მოწინავე რაიონად ითვლება. 1939 წელს, წინა წელთან შედარებით რაიონის მთლიანი ბიუჯეტი გაიზარდა 1.887.137 მანეთით. თუ 1938 წელს ტყიბულის რაიონის ბიუჯეტის მოცულობა უდრიდა 4.370.900 მანეთს, 1939 წელს ბიუჯეტის მოცულობამ უკვე მიაღწია 4.725.600 მანეთს. 1938 წელს ტყიბულის რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 1.283.000 მანეთი, 1939 წელსკი—1.375.900 მანეთი, ანუ 92.900 მანეთით მეტი.

ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ინიციატივით დასავლეთ-საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად ტყიბულის რაიონშიც დაინერგა ჩაის კულტურა, რომელიც მშრომელთა შეძლებული ცხოვრების დაუშრეტელი წყარო გახდა.

ტყიბულის რაიონი წინათ ცნობილი იყო, როგორც უგზოობის რაიონი, წელს კი რაიონის მშრომელთა ინიციატივით, ფერგანული მეთოდების ფართოდ დანერგვის შედეგად რაიონის კოლმეურნეებმა გაიყვანეს შესანიშნავი გზატკეცილი ქუთაისიდან ტყიბულამდე და სულ მოკლე დროში ტყიბულის რაიონის მშრომელები იზეიმებენ ამ გზის გახსნას.

ხალხთა ბელადმა დიდმა **სტალინმა** საქართველოს მაღაროელებს დაგვავალა გაგვედიდებია ქვანახშირის ამოღება და ადგილობრივი ქვანახშირით უზრუნველგვეყო საქართველოს და ამიერ-კავკასიის მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამ დავალების პირნათლად შესრულებისათვის საქართველოს მაღაროელები თავდადებით იბრძვიან და უკვე მიღწეულია ფრიად მნიშვნელოვანი გამარჯვებები. მიმდინარე წელს ტყიბულში ამუშავებული იქნება დასავლეთის ახალი შახტი, რომელიც ყოველწლიურად 650.000 ტონა ქვანახშირს მოგვცემს. უახლოესი ორი წლის განმავლობაში ამუშავდება აღმოსავლეთის ახალი შახტი, რომელიც ყოველწლიურად 750.000 ტონა ქვანახშირს მოგვცემს. უკვე ამუშავდა და ექსპლოატაციაშია ტყვარჩელის და გელათის ახალი მაღაროები. აღნიშნული შახტების ექსპლოატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით, გარდა სამრეწველო მნიშვნელობის თანხებისა, რომელიც 40 მილიონ მანეთს აღემატება, საბინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაზე უახლოესი წლების განმავლობაში დახარჯული იქნება კიდევ 96 მილიონი მანეთი. მარტო მიმდინარე წლის განმავლობაში ამ მიმართულებით ჩვენ უნდა ავითვისოთ 15 მილიონი მანეთი. ქვანახშირის მრეწველობის ზრდასთან ერთად საჭიროა, რომ ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მოაგვაროს შემდეგი საკითხები: შექმნას ქვანახშირის მაღაროებისათვის ენერგეტიკული ბაზა, მოაგვაროს ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის რეკონსტრუქციის საკითხი ამ გზის გამტარუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით, შეუდგეს ტყიბულში ქვანახშირის გამამდიდრებელი ქარხნის აგებას და დროზე მოაწესრიგოს შაორის წყლის ტყიბულის მაღაროებისათვის მიწოდების საკითხი, რაც დაკავშირებულია ტყიბულში ახალი ჰიდროელსადგურის მშენებლობასთან.

ტყიბულის მაღაროებს ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი. დღემდის არ არის გამოსწორებული ამოღებული ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. სამრეწველოები, რომლებიც ჩვენს ნახშირს ღებულობენ, სამართლიანად გვიჩივიან ამის შესახებ. ტყიბულის ბოლშევიკები, ჩვენი სახელოვანი სტახანოველი მაღაროელები და ინჟინერ-ტექნიკოსები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უახლოეს დროშივე მივაღწიოთ ქვანახშირის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას.

გაუმარჯოს საბჭოთა დაზვერვის მტკიცე ხელმძღვანელს ამხანაგ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!** (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს! (მქუხარე ტაში, დეპუტატები ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ ა. გ. ჯაფარიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

როგორც ორდენოსანი საქართველოს ყველა რაიონებმა, ისე ონის რაიონმაც უდიდეს წარმატებებს მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

რაჭაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მხოლოდ ერთი 4-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი და ორიოდე დაწყებითი სკოლა იყო. დღეს კი გვაქვს ორი სპეციალური სასწავლებელი, ერთი პედაგოგიური სასწავლებელი და ერთი მედტექნიკუმი, 6 საშუალო სკოლა, 16 არასრული საშუალო და 71 დაწყებითი სკოლა 6.236 მოსწავლით. გვაქვს აგრეთვე ერთი საბავშვო სახლი და 6 საბავშვო ბაღი და ბაგა, სადაც ბავშვები იზრდებიან კომუნისტურ პრინციპებზე. ფართოდ არის გაშლილი კლუბებისა და ქოხსამკითხველოების ქსელი. ჯანმრთელობის დაცვის საქმეში რაიონს საკმაო მიღწევები აქვს მოპოვებული. წინათ თუ მხოლოდ ერთი საავადმყოფო იყო, ამჟამად გვაქვს 3 საავადმყოფო, ერთი ამბულატორია, ერთი სამშობიარო სახლი თვით ქალაქში და ორი საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი სოფლად, 7 საექიმო უბანი და 3 საზებიო პუნქტი. 1939 წლის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის ხაზით საგრძნობი თანხა დარჩა აუთვისებელი. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სათანადო რაოდენობით არ გვყავდა საექიმო პერსონალი.

ერთი წელია, რაც ონში შეიქმნა საკოლმეურნეო თეატრი, რომელმაც თავისი მუშაობის პერიოდში საგრძნობ წარმატებას მიაღწია. ონის რაიონის მშრომელები უდიდეს კმაყოფილებას გამოსთქვამენ თეატრის მუშაობით, მაგრამ თეატრი მოთავსებულია კულტურის სახლის შენობაში, რომლის დარბაზიც თეატრისათვის შეუფერებელია.

ამხანაგო დეპუტატებო! უკვე მესამე წელია, რაც ონი დამტკიცებულია ქალაქად. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქმა ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად იცვალა სახე. ძირითადად დამთავრდა პედსასწავლებლის რამდენიმე წლის წინათ დაწყებული შენობა, არასრული საშუალო სკოლის შენობა და 20-ბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლი, აშენდა საზაფხულო კინო, საბავშვო ბაგა და რაიკავშირის საერთო საწყობები. მიმდინარეობს ქალაქის გამწვანება და ქუჩების მოკირწყვლა.

ქალაქს აქვს უდიდესი ნაკლი, რაც გამოიხატება შემდეგში: არ არის კანალიზაცია, აგრეთვე ქალაქი დაგეგმილი არ არის. ეს უკანასკნელი გარემოება ხელს უშლის როგორც ქუჩების ნაწილის გაკეთებას, ისე მოსახლეობის მიერ მშენებლობის წარმოებას. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქს საკმაო რაოდენობით აქვს სამოსახლო ფონდი, მსურველთა დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება, რადგანაც მოსალოდნელია დაგეგმვის დროს საჭირო გახდეს ახალ ნაგებობათა აღება. ვფიქრობთ, რომ ჩვენ დახმარება გაგვეწევა და ქალაქი დაიგეგმება უმოკლეს დროში.

ამხანაგო დეპუტატებო! მდინარე რიონი რაიონს ყოველწლიურად დიდ ზარალს აყენებს, ანგრევს გზებს და ხიდებს, ანადგურებს კოლმეურნეობათა ფართობებს და სხვ. განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქადის ეს მდინარე ონის მოსახლეობას. წელს ამ მხრივ დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ. ნაპირების პრიმიტიული წესით გამაგრებაზე ყოველწლიურად რამდენიმე ათასი მანეთები იხარჯება, იჩეხება და ნადგურდება ტყეები. ეს უკანასკნელი კი ერთერთი მიზეზთაგანია წყალდიდობისა. ეს მდგომარეობა რომ თავიდან იქნას აშორებული, ვთხოვთ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, რათა მომავალ 1941-42 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს ხსენებული ნაპირების კაპიტალური გამაგრებისათვის საჭირო რაოდენობის თანხა.

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა კლასის ბელადს და მასწავლებელს დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

გაუმარჯოს სტალინის საუკეთესო მოწაფეს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას! (მქუხარე ტაში).**

მუსოლინის გამოსვლა

რომი, 10 ივნისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს მუსოლინის სიტყვას. თავისი სიტყვის დასაწყისში მუსოლინიმ განაცხადა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებს უკვე გადაეცათ ნოტები ომში იტალიის ჩაბმის შესახებ.

მუსოლინიმ აღნიშნა, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა უარჰყვეს ჰიტლერის სამშვიდობო წინადადებანი გასული წლის ოქტომბერს და განაცხადა: „მაგრამ ყოველივე ეს წარსულს ეკუთვნის. დღეს ჩვენ გადავსწყვიტეთ გავწიოთ მთელი რისკი და გავიღოთ საომარი დროის მსხვერპლი".

შემდეგ მან სთქვა: „იტალია იარაღს იმიტომ ჰკიდებს ხელს, რომ კონტინენტალური და საზღვაო საზღვრების პრობლემა გადასწყვიტოს". მუსოლინიმ განაცხადა, რომ იტალიას „სურს დაამსხვრიოს ტერიტორიული სამხედრო ბორკილები, რომლებიც სულს უხუთავენ მას ხმელთაშუა ზღვაში, და თავისუფალი გასასვლელი ჰქონდეს ოკეანეში". დასასრულ, მუსოლინიმ განაცხადა: „ამჟამად, როდესაც არჩევანი გაკეთებულია და უკან დასაბრუნებელი გზა აღარ დავიტოვეთ, მე ვაცხადებ, რომ იტალიას არა აქვს განზრახული კონფლიქტში ჩააბას სხვა სახელმწიფოები, რომლებიც მას ესაზღვრებიან ზღვითა და ხმელეთით. დაე, შვეიცარიამ, იუგოსლავიამ, თურქეთმა, ეგვიპტემ და საბერძნეთმა მხედველობაში მიიღონ ეს სიტყვები".

ჩიანოს განცხადება

ბერლინი, 10 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო სტეფანის სააგენტოს იმოწმებს და გადმოგვცემს შემდეგს:

„დღეს, 18 საათსა და 30 წუთზე, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიანომ საფრანგეთის ელჩი მიიღო და განუცხადა, რომ იტალიას 11 ივნისის დილიდან საფრანგეთთან საომარ მდგომარეობაში მიაჩნია თავისი თავი".

18 საათსა და 54 წუთზე ჩიანომ ინგლისის ელჩი მიიღო და ანალოგიური განცხადებით მიჰმართა მას.

ჰიტლერის დეპეშები იტალიის მეფისა და მუსოლინისადმი

ბერლინი, 10 ივნისი (საკდესი). ომში იტალიის ჩაბმასთან დაკავშირებით, ჰიტლერმა იტალიის მეფესა და მუსოლინის დეპეშები გაუგზავნა და მიესალმება იტალიის ამ ნაბიჯს.

გერმანიის ჯარის კონცენტრაცია შვეიცარიის საზღვარზე

ლონდონი, 10 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება: „ევროპაში ახლანდელი ომის დაწყებიდან შვეიცარია, აშკარაა, ისე დიდს საფრთხეში არასოდეს არა ყოფილა, როგორშიც ამჟამად არის".

შვარცვალდში ჩავიდნენ გერმანიის ახალი დივიზიები, რომელთა რაოდენობა შვეიცარიის საზღვარზე ამჟამად 20 დივიზიას შეადგენს. სააგენტო აღნიშნავს, რომ გერმანიისა და იტალიის საზღვრებზე ამჟამად თავმოყრილია საომრად გამზადებული შვეიცარიის 400 ათასი ჯარისკაცი. გარდა ამისა, შვეიცარიის კიდევ 100 ათასი ჯარისკაცი მზად არის პარაშუტისტებისა და აგრეთვე „მეხუთე კოლონის" წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ჩერჩილის მიმართვა რეინოსადმი

ლონდონი, 10 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის მთავრობის პრემიერმა ჩერჩილმა დეპეშა გაუგზავნა რეინოს, სადაც ნათქვამია: „ამ უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ინგლისის ახალი ჯარი გადმოვიდა საფრანგეთში. უახლოეს ხანს საფრანგეთში ახალ მაშველ ძალებს გამოვგზავნით".

მოკავშირეთა ჯარების ევაკუაცია ნორვეგიიდან

ლონდონი, 10 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები ევაკუირებული არიან ჩრდილოეთ ნორვეგიიდან. ნორვეგიის მეფე და ნორვეგიის მთავრობა ამჟამად ინგლისში იმყოფებიან. ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო ამასთან დაკავშირებით შემდეგს კომუნიკეს გადმოგვცემს: „ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები ევაკუირებული არიან ჩრდილოეთ ნორვეგიიდან. ამის შესახებ ეცნობათ ნორვეგიის მეფეს და ნორვეგიის მთავრობას. როგორც ნორვეგიის მეფემ, ისე ნორვეგიის მთავრობამ განაცხადეს, რომ მათთვის სავსებით გასაგებია ამ ოპერაციის აუცილებლობა. ინგლის-საფრანგეთის ჯარებთან ერთად ჩრდილოეთ ნორვეგიიდან ევაკუირებულია ნორვეგიის ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც რეორგანიზებულ იქნება და შემდეგში სხვა ფრონტებზე იქნება გამოყენებული. ნარვიკის დაკავების შედეგად მოკავშირეთა ჯარებმა შესძლეს დიდი ხნით მოესპოთ გერმანელებისათვის ამ ნავსადგურის გამოყენების შესაძლებლობა შვეციიდან რკინის მადნის გადმოსატანად. ამჟამად ის ჯარები და საომარი მასალა, რომელიც ნორვეგიაში იყო, შეიძლება უფრო მიზანშეწონილად გამოიყენონ სხვა ადგილებში".

ჰავასის სააგენტო საფრანგეთში წარმოებულ საომარი მოქმედების შესახებ

პარიზი, 11 ივნისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს შემდეგს ცნობას გუშინდელი საომარი მოქმედების შესახებ: „დღის განმავლობაში გერმანელები განსაკუთრებით ცდილობდნენ განევითარებინათ თავიანთი ადგილობრივი წინსვლა და გაეფართოვებინათ ოპერაციების ზონა, ამასთან ისინი მარაოსებრივ იერიშებზე გადმოდიოდნენ იმ გადასასვლელებიდან, რომელთა ხელში ჩაგდება მათ ძალიან ძვირად დაუჯდათ. ამ ბრძოლების ზონა მდინარე უაზის აღმოსავლეთით მდებარეობს. უაზის დასავლეთით წინანდებურად გრძელდება ფრონტალური შეტევა, რასაც წინ უძღვის სატანკო ნაწილების გადასროლა. ჯავშანსატანკო რაზმების საკმაოდ დიდმა რაოდენობამ შესძლო მისვლა ქვედა სენამდე რუანსა და ვერნონს შორის. ამ რაზმებთაგან ზოგიერთ მეორე ნაპირზედაც კი გადავიდა, მაგრამ, როგორც ოფიციალურ ცნობაშია ნათქვამი, ეს უმნიშვნელო ჯგუფებია, რომელთა წინააღმდეგაც კონტრიერიშები მიგვაქვს.

მდინარე ენსა და ურკს შორის მდებარე რაიონი, სადაც ამჟამად გერმანელები იერიშზე გადმოდიან, წარმოადგენს დიდ დამუშავებულ ვაკეს, რომლის ზედაპირი ბორცვიანია. აქ გერმანელები იმყოფებიან 1914 წლის ომის ერთერთი მთავარი ბრძოლის ველზე, რომელიც ცნობილია მარნის ბრძოლის სახელწოდებით. ისე, როგორც მაშინ, მათი არმიები მიემართებიან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მაგრამ გერმანიის ერთერთი არმია, სახელდობრ ის, რომელსაც იერიში მიაქვს ფიმზე მდინარე ველის ხეობით, როგორც სჩანს, უმთავრესად მიმართულია რეიმსის წინააღმდეგ.

ჩრდილო შამპანში საფრანგეთის ჯარმა გამოიყენა პატარა მდინარე რეტურნი, რომელიც რეტელს სამხრეთით ჩაუდის და რომელიც მოხერხებულ დაბრკოლებას წარმოადგენს. გერმანიის არმიის შემოტევა რამდენადმე შესუსტდა. ფრანგები განაგრძობენ ბრძოლას თვითეული გოჯი ტერიტორიისათვის, საფრანგეთის ჯარის ნაწილები მხოლოდ მას შემდეგ იხევენ უკან, როდესაც დიდ ზიანს მიაყენებენ მტერს, და მხოლოდ იმისათვის, რომ კვლავ დაიწყონ ბრძოლა ზურგში რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. ამ ნაწილებს დახმარებას უწევს ავიაციის მოქმედება, რაც სულ უფრო-დაუფრო ძლიერდება".

პიტმენის განცხადება

ნიუ-იორკი, 10 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ პიტმენმა განაცხადა: „ის გარემოება, რომ იტალია ომში ჩაება, დააჩქარებს ჩვენს ღონისძიებებს ინგლისისა და საფრანგეთისათვის დახმარების გაწევის საქმეში". მაგრამ პიტმენმა დასძინა: „ამერიკელ ხალხს არა სურს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩაებან".

ჩუნცინის ბომბარდირება

ლონდონი, 10 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს იაპონელთა ასზე მეტი ყუმბარმშენი დაესხა თავს ჩუნცინის დასავლეთის განაპირა უბნებს. დანგრეულია მრავალი შენობა. მსხვერპლი მცირეა.

პარიზის ბომბარდირების შედეგები

ბერლინი, 10 ივნისი (საკდესი). ტრანსოცეანის სააგენტო იუწყება, რომ გერმანელთა მიერ ყუმბარის დაშენის შედეგად პარიზის მიდამოებში დანგრეულია დიდი ნაწილი სამხედრო ქარხნისა, რომელიც მძიმე ტანკებს ამზადებს.

კანადის მთავრობის ღონისძიებანი

ნიუ-იორკი, 10 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ოტავიდან (კანადა) იუწყება, რომ მთავრობამ პოლიციას განკარგულება მისცა, რათა კანადაში დააპატიმროს იტალიური ეროვნების ყველა პირი, აგრეთვე ის პირნი, რომლებზედაც ეჭვს მიიტანენ, რომ ისინი მტერს თანაუგრძნობენ. მთავრობას განზრახული აქვს დაუყოვნებლივ ჩააბაროს პასპორტები იტალიის დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

პარიზის ევაკუაცია

ნიუ-იორკი, 10 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საფრანგეთის ცენზურა და მთავრობის სხვა დაწესებულებანი სტოვებენ პარიზს.

დეპეშათა სააგენტოები პარიზს სტოვებენ

ბერლინი, 10 ივნისი (საკდესი). როგორც ტრანსოცეანის სააგენტო ჟენევიდან იუწყება, დიდი დეპეშათა სააგენტოები სტოვებენ ან უკვე დასტოვეს პარიზი. ჰავასის სააგენტო გადაყვანილია ტურში. პარიზში დარჩნენ მხოლოდ დეპეშათა სააგენტოების წარმომადგენლები.

ომი დასავლეთ ევროპაში

საომარი მოქმედების დღიური

10 ივნისი

ომალ-ნუაიონის რაიონში დიდი შეტევის შემდეგ გერმანიის ჯარმა გააძლიერა მიძალება ამ რაიონის აღმოსავლეთით სუასონ-ლე-შენის სექტორში. სუასონის დასავლეთით მათ მოახერხეს მდინარე ენის გადალახვა. სუასონის აღმოსავლეთით გერმანელებმა იერიში მიიტანეს პონტავერის რაიონზე და ცდილობდნენ შემოევლოთ ქალაქისათვის.

9 ივნისს გაძლიერდა აგრეთვე გერმანელების შეტევა რეიმსზე. რეიმსის აღმოსავლეთით გერმანიის ჯარმა შატო-პორსიენ-ლე-შენის რაიონი დაიკავა და სამხრეთისაკენ წაიწია. ფრონტის ამ უბანზე წარმატებითმა მოქმედებამ გამოიწვია გერმანელთა მეწინავე რაზმების წინწაწევა რეიმსის მიდამოებამდე. გერმანელთა რაზმებმა იერიში მიიტანეს რეიმსის გარშემო მდებარე სიმაგრეებზე.

გერმანიის ჯარი ყველაზე უფრო წარმატებით მოქმედებდა ფრონტის ჩრდილოეთ-დასავლეთ უბანზე, სენის ქვემო წელის რაიონში. გერმანელთა სატანკო ნაწილებმა, რომლებმაც აქ ფრონტი გაარღვიეს, რუანის გარეუბნამდე წაიწიეს წინ. როგორც სჩანს, ამ ადგილას გერმანელთა ჯავშან-სატანკო რაზმებმა საფრანგეთის თავდაცვის ხაზი გაარღვიეს. გერმანიის ჯარის ნაწილების წინსვლა ქვედა სომის რაიონში ხდება წყლის არტერიების გასწვრივ—მდინარე ანდელისა და ეპტის ხეობით.

ამჟამად წარმოებული დიდი ბრძოლის მეექვსე დღეს ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული ბრძოლის საბოლოო შედეგები. საფრანგეთის სარდლობა, რომელსაც შეგნებული აქვს ამ ბრძოლის მთელი მნიშვნელობა ომის შედეგისათვის, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეაჩეროს გერმანელების შემდგომი წინსვლა. გერმანიის არმიას მთავარი იერიში მიაქვს პარიზზე. პარიზის რაიონს განუწყვეტლივ უშენს ყუმბარებს გერმანიის ავიაცია იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად მოსწყვიტოს საფრანგეთის დედაქალაქი დანარჩენ საფრანგეთს და გადასჭრას მოკავშირეთა ჯარების კომუნიკაციები, რომლებიც პარიზზე გადის. გააფთრებით უშენენ ყუმბარებს შერბურგისა და ჰავრის ნავსადგურებს, საიდანაც საფრანგეთის ჯარს შეუძლია მაშველი ცოცხალი ძალა და საომარი მასალა მიიღოს ინგლისიდან.

მოკავშირეთა ავიაცია აქტიურად ეხმარება სახმელეთო ჯარებს. ყუმბარებს უშენენ გერმანიის არმიის ცოცხალ ძალას და მატერიალურ ნაწილს ბრძოლის რაიონში. მოკავშირეთა ავიაცია კვლავ თავს დაესხა გერმანიის მთელ რიგ ქალაქებს.

ნორვეგიაში ბრძოლა დამთავრდა. ნორვეგიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ საომარი მოქმედება შეწყვეტილია. ინგლისის ჯარმა უკან დაიხია და ნარვიკი კვლავ გერმანელებმა დაიკავეს.

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 10 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის შემდეგი ცნობა: „დაახლოებით 350 კილომეტრის სიგრძის ფრონტზე გერმანიის ოპერაციები ქვემო სენის, მარნისა და შამპანის მიმართულებით წინასწარ დასახული გეგმის თანახმად სწარმოებს. მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში, ის კონტრიერიშებიც კი, რომლებიც მას ჯავშანსატანკო ნაწილების დახმარებით მოჰქონდა, მოგერიებულია. ფრონტის ბევრ პუნქტში ბრძოლამ მოწინააღმდეგის სწრაფი დადევნების ხასიათი მიიღო. ქვემო სენისა და შამპანის რაიონში ყველა ტიპის თვითმფრინავთა დიდი შენაერთები დახმარებას უწევდნენ არმიის წინსვლას. გერმანიის ავიაციამ რეიმსის რაიონში დიდი წარმატებით მიიტანა იერიში ჯარის ზოგიერთი ნაწილის შტაბების შენობებზე, საწყობებზე, თავმოყრილ ჯარზე, საველე არტილერიის პოზიციებზე, სიმაგრეებზე, ბატარეებზე და მოწინააღმდეგის ჯარის მოძრაობაში მყოფ კოლონებზე. მდინარე სენის ქვემო ნაწილში ჩვენმა ავიაციამ წარმატებით მიიტანა იერიში გზატკეცილებზე, რკინიგზის ხაზებზე, სადგურებზე და მოწინააღმდეგის ჯარზე, რომელიც უკან იხევს. ავიაციამ სხვადასხვა ყალიბის ყუმბარები დაუშინა შერბურგისა და ჰავრის ნავსადგომებსა და სანაპიროებს. ამ ნავსადგურებში და მდინარე სენის ქვემო ნაწილში ყუმბარებმა მოწინააღმდეგის დიდძალი გემი დააზიანა. ერთ ტრანსპორტს (5 ათასი ტონა) ცეცხლი გაუჩნდა და განადგურდა.

გერმანიის ერთერთმა წყალქვეშა ნავმა, რომელიც შორეული რეიდიდან ბრუნდებოდა, ჩასძირა მტრის რამდენიმე გემი 43 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა. განვლილი ღამის მანძილზე მტრის თვითმფრინავები თავს დაესხნენ გერმანიის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებს და ზიანი მიაყენეს მათ. ბევრ პუნქტში, უწესრიგო ბომბარდირების შედეგად, დაზარალებულია შენობები. გერმანიის საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო მტრის ერთი თვითმფრინავი. გუშინ მტერმა დაჰკარგა 91 თვითმფრინავი, აქედან 68—საჰაერო ბრძოლაში, 14—გერმანიის საზენიტო არტილერიის მოქმედების შედეგად, ხოლო დანარჩენი თვითმფრინავები განადგურებულ იქნა საფრანგეთის აეროდრომების ბომბარდირების დროს. გერმანიის 5 თვითმფრინავი არ დაბრუნებულა თავის ბაზაში".

პარიზში საალყო წესები გამოაცხადეს

ლონდონი, 10 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღევანდელი დღიდან პარიზში გამოცხადებულია საალყო წესები. მიმდინარეობს სამინისტროების შტატის ევაკუაცია პროვინციაში. მთავრობის თვალსაჩინო ხელმძღვანელები დედა-ქალაქში რჩებიან. წუხელ მოხდა პარიზის გარეუბნის, განსაკუთრებით რკინიგზის კვანძების სასტიკი ბომბარდირება.

იტალია-საფრანგეთის საზღვარი დაიხურა

ნიუ-იორკი, 10 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს რომაელი კორესპონდენტი იუწყება იტალია საფრანგეთის საზღვრის დახურვის შესახებ. სატელეფონო კავშირი შეწყვეტილია.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

ხუბეის პროვინციაში ჩინეთის ჯარის ნაწილებმა კონტრიერიში მიიტანეს იაპონელებზე, რომლებმაც მდინარე ხანი გადმოლახეს შაიანის რაიონში. ჩინელებმა აქ შესძლეს რამდენიმე ფონის დაკავება.

ბრძოლა გაჩაღდა აგრეთვე გუანშუიინშანის რაიონში. ჩინეთის ჯარმა, განვლო რა ერთერთი კლდეკარი, შეუტია აღნიშნულ პუნქტებს, რათა გადაეჭრა ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზა და სიანიანისაკენ მიმავალი გზატკეცილი.

სამხრეთ ჩინეთში

გუანდუნის პროვინციაში იაპონიის ჯარმა, რომელიც 2.000 კაცისაგან შესდგებოდა, 8 ივნისს ავიაციის დახმარებით დაიწყო შეტევა ცუნხუას რაიონში (კანტონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით). ჩინელები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ.

გაზეთ „ძუნმეიბაოს" ცნობით, 7 ივნისს კანტონში ჩაიტანეს 700-მდე მოკლული და მიიყვანეს 800 დაჭრილი იაპონელი ჯარისკაცი.

ჩრდილოეთ ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ცალკეული მცირე შეტაკებები ხდება. სენტრალ ნიუსის სააგენტოს ცნობით, ამ პროვინციაში იაპონელებმა უკანასკნელ ხანს 10.000 კაცი დაჰკარგეს.

○

როგორც გაზეთი „შენჯოუჟიბაო" იუწყება, რამდენიმე დღის წინათ მარიონეტული „მთავრობის" ჯარის ოთხზე მეტი პოლკი აჯანყდა იაპონელთა წინააღმდეგ სინიანის რაიონში (ხენანის პროვინცია). აჯანყებულნი ჩინეთის ჯარის მხარეზე გადავიდნენ.

10 ივნისი (საკდესი).

გ. ლეონიძის პოემის საჯარო განხილვა

13 ივნისს, საღამოს 9 საათზე პოლიხანოვის კლუბში შესდგება საჯარო განხილვა ორდენოსანი პოეტის გ. ლეონიძის პოემისა „ბელადის ბავშვობა და ყრმობა". პოემიდან ნაწყვეტებს წაიკითხავენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ხორავა და ა. ვასაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ანჯაფარიძე და ავტორი. მოხსენებას გ. ლეონიძის პოემის შესახებ წაიკითხავს მწერალი შ. აფხაიძე. კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, სტახანოველები და სხვ.

მოჭადრაკე და მოშაშე ბავშვთა შეჯიბრება

12 ივნისს, დღისით ცენტრ. საჭადრაკო კლუბში იწყება თბილისის მოჭადრაკე და მოშაშე მოსწავლე ბავშვთა შეჯიბრება საქალაქო პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 50 ქალ-ვაჟი. შეჯიბრებაში გამარჯვებულნი მონაწილეობას მიიღებენ მოჭადრაკე და მოშაშე ბავშვთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში ჩატარდება.

ფეხბურთი

სსრკ პირველობაზე

გუშინ მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე შესდგა თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა საჩვენებელი გუნდების მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

კიევში ადგილობრივმა „დინამომ" დაამარცხა თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდი ანგარიშით 3:0.

საქალაქო პირველობაზე

11 ივნისს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა ფეხბურთის მორიგი მატჩი საქალაქო პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკისა" და „დინამო 1" გუნდები.

მატჩი დამთავრდა თბილისის „სპარტაკის" სასარგებლოდ ანგარიშით—1:0.

განსახკომის ლექტორიუმში

13 ივნისს, საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე, განსახკომის ლექტორიუმში (საქართველოს მუზეუმის აუდიტორია, ფურცელაძის ქ. № 1) შესდგება პროფესორ შ. გოგიბერიძის ლექცია თემაზე — „საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესახებ".

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

13 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა. პროპაგანდისტთა დასწრება სავალდებულოა.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში პროპაგანდისტებისა, მომხსენებლების, აგიტატორებისა და „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგებისათვის ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე.

კონსულტაცია ტარდება ქართულ და რუსულ ენებზე დილის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „მანერჰაიმის ხაზი", **ოქტომბერი** — „მანერჰაიმის ხაზი", **დამკვრელი** — „მანერჰაიმის ხაზი", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „მანერჰაიმის ხაზი", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დაგვიანებული სასიძო", **კომინტერნში** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „კენდლილიარი", **ახალი ამბები**—„რედაქციის დღე".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ ა. წ. 28 და 29 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ინსტიტუტის შენობაში (მარის ქ. № 33) **ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომებზე დისერტაციას დაიცავენ:**

28 ივნისს 1) სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ასპ. **ა. ნ. ცხომელიძე** თემაზე: **„გურჯაანის რაიონის შესწავლა მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით".**

ოფიციალური ოპონენტები: ა) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოც. **პ. ულენტი.**

ბ) სოფ. მეურნეობის მეცნიერებათა კანდ. დოც. **ვ. ქანთარია.**

გ) პროფ. **ს. მ. ჩოლოყაშვილი.**

2) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ასისტ. **მ. ლ. ჭელიძე** თემაზე: **„შრომის ორგანიზაცია მევენახეობის მიმართულების კოლმეურნეობებში".**

ოფიციალური ოპონენტები: ა) პროფ. **ს. მ. ჩოლოყაშვილი.**

ბ) დოც. **ი. ლ. ჯაში.**

29 ივნისს 1) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დოც. **ნ. ძ. ლაჩქეპიანი** თემაზე: **„სასოფლო-სამეურნეო წამოწყებათა განვითარების ისტორიისათვის საქართველოში".**

ოფიციალური ოპონენტები: ა) სოფ. მეურნ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. **ტ. ყ. კვარაცხელია.**

ბ) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოც. **შ. ვ. მეგრელიძე.**

2) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დოც. **ივ. ლ. ჯაში** თემაზე: **„ტერიტორიის ორგანიზაციის საკითხისათვის მრავალწლოვან ნარგავების პირობებში".**

ოფიციალური ოპონენტები: ა) სოფ. მეურნ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ **ტ. ყ. კვარაცხელია.**

ბ) დოც. **ნ. ძ. ლაჩქეპიანი.**

მსურველებს შეუძლიათ შრომებს გაეცნონ ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

590 **ინსტიტუტის დირექტორი დოც. ნ. გელაშვილი.**

მშობლები გოგუცა და ვანო დედით, ძმები ომარი და დემური სანებლიძეები, ბაბუა იაკინთე ყიფიანი იუწყებიან

პატარა ტარიელის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13/VI 7 ს. ბარნოვის 67. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 14/VI 5.

ა. კოჭლავაშვილი, ნ. ბაიდოშვილი, ნ. სარქისოვი, ვ. საყვარელიძე, ა. კახაძე, ა. სხილაძე, დ. გეორხელიძე იუწყებიან საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივნის დ. ჟორჟოლიანის მეუღლის

ეკატერინე ჟორჟოლიანის

გარდაცვალებას.

ნოე, ვიქტორ, ვარლამ უზნაძეები, ბაბილინა მაჭავარიანი, ნინო ფაჩულია, ალვასი კიკნაძე, სარა საყვარელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ 12/VI 1 ს. პეტრეპავლეს სასაფლაოზე დანიშნულია

თეო უზნაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 6749

დები ნადია, ოლია ჭიპაშვილები, სიძეები ილია შუკაკიძე, ვენუშა გეწაძე შვილებით იუწყებიან

კატუშა სამსონის-ასულ ჭიპაშვილი-ჟორჟოლიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/VI ქ. ზესტაფონში. 6754

შვილები კოტიკო, ლილი, ანიჩკა, რძალი გოგოლა, სიძე სურენ ავეტისოვი შვილებით იუწყებიან

იუსტინე მიხეილის-ძე კანდელაკის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13/VI 7 ს. გამოსვენება 14/VI 5 ს. ტატიანას, 10, კუკიის სასაფლაოზე. 6456

მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის თანამშრომლები ცხაკაია, აბესაძე, ცაგარეიშვილი, ბექაია, ქადაგიძე, შანიძე, ცხადაია, კეცხოველი, მახარაშვილი, ჭიკაშუა, შანშიაშვილი თანაუგრძნობენ მელო ჭრელაშვილს

ვლასი ძაგნიძის

გარდაცვალების გამო. 6751

შვილები შალვა, გოგოცა, რძალი ქსენია, შვილიშვილები კიტი, ეთერ ვარდოსანიძეები იუწყებიან

მარიჯან რომანოზის-ასულ ვარდოსანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/VI ს. ზოვრეთში (ზესტაფონის რ.). 6740

მეუღლე კატო, შვილები ტერენტი, ივანე, რძლები გოგუცა, ანიჩკა, შვილიშვილებით იუწყებიან

ილია (აფრასიონ) დარისპანის-ძე ჟანჩაველის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/VI ს. ალავერდში (ზესტაფონის რ.). 6745

გიორგი აბრამიშვილი მშობლებით, ცოლშვილით, დებით და სიძეებით იუწყება სიძის

მიხეილ თათოს-ძე დიაროვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12/VI 7 ს. გამოსვენება 13/VI 5 ს. სანთლის შესახვევი, 5. 6745

ბიცოლა ოლღა ხოფერია შვილებით ნინოთი, მარსელიკოთი, ალექსანდრეთი იუწყება

ანგელინა (კიკუ) ხოფერია-არშბას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VI ს. შხეფში. 6747

შვილები იუზა, ჟორა, ლიდა, ვახტანგ, ნინო, არჩილ ოჯახებით იუწყებიან, რომ 12/VI 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

პორფილე გიორგის-ძე რევიშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი. 6748

ქმარი დ. ჟორჟოლიანი, შვილები ნოდარ და ლეილა იუწყებიან

კატუშა ჟორჟოლიანის

გარდაცვალებას.

მარო გოზალაშვილი და ალექსანდრე ჟანკიევი შვილებით ცაცათი და ბუჩოთი იუწყებიან მიშა გოზალიშვილის პატარა

იზას

გარდაცვალებას. გამოსვენება 12/VI 1 ს. ბავშვთა საავადმყოფოდან, სასამართლოს, 48, ვაკის სასაფლაოზე. 6750

შვილი დარია, შვილიშვილები ლენა, ნინო შვილებით, პეტრე, გიორგი, პლატონ ცოლშვილით და სერგო საყვარელიძეები იუწყებიან

მარიჯან რომანოზის-ასულ ვარდოსანიძის

გარდაცვალებას.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—1439